ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 11 ივნისი 2007 №131 (3054) ფასი 50 თეთრი



## ივო შუშაკის საქართველო

პიჯაკი გარდერობშია, გაზეთი არქივში

3

## გერმანია ადასტურებს: კარლ ცაისს ქართველი ყიდულობს!

ქართული ფეხბურთის ყველაზე ტკბილი მეტოქე ახალ, ჯერაც გასაიდუმლოებულ პატრონს ელის

## ლისაბონში ქართულმა სახელმაც გაანათა







AFP

## წაუგებელი მოგებულები

### წითელი თიხნარის მეფე-დედოფალი: ნადალი და ენინი



AFP



AFP

მესამე წელია, პარიზში არაფერი იცვლება — რაც შარშანწინ იყო, ის იყო შარშანაც და წლეულსაც ის არის.

სეზონის მეორე, ფრანგულ სლემტურნირს, „როლან გაროსის" წითელ თიხნარზე რომ ტარდება, ისევ ძველი ტრიუმფატორები ჰყავს. ჟუსტინ ენინისა და რაფაელ ნადალის მომრევი წლეულსაც არავინ გამოჩნდა და ჭინკა ბელგიელი „როლან გაროსის" უკვე ოთხგზის ჩემპიონია, ხოლო ესპანელმა ჯადობიჭმა მესამე ცდიდან მესამე პარიზული ტიტული მოიპოვა.

ბევრს ეცადა როჯერ ფედერერი, თავიდან ფინალური მატჩი თითქოს მისი კარნახითაც მიდიოდა, მაგრამ რად გინდა — მესამე სეტიდან ყველაფერი შარშანდელს დაემსგავსა და შარშანდელივით ოთხ სეტში დასრულდა. ნადალი „როლან გაროსზე" ჯერაც დაუმარცხებელია და დიადი შვეიცარიელის ოცნება დიდ სლემზე კვლავაც ოცნებად რჩება.

ფედერერმა ფინალურ მატჩში ერთი სეტი მაინც წაართვა ნადალს. ენინს კი ვერავინ ვერაფერი წაართვა. 2005 წლიდან მოყოლებული, უკვე 17 მატჩია, ბელგიელი სეტის წაუგებლად მუსრავს განურჩევლად ყველას და მრისხანე მეტოქეს ჩოგანი ვერც უნიჭიერესმა სერბმა ანა ივანოვიჩმა შეუბრუნა.

## ახალი ტონი ფორმულაში

### ჰემილტონი ყველას თავზე წამოაჯდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარლ ცაისს ქართველი ეპატრონება?

## გერმანიაში არხზე ალაპარაკდნენ

**დიახ,** ასეთი ინფორმაცია გაჩნდა გერმანულ ვებგვერდზე. ისიც წერია, გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიას ტრანსფერებში სწორედ ამ ბიზნესმენის ხელი ურევია და დიდი შანსია, იენის „კარლ ცაისში" კიდევ გამოჩნდნენ ქართველი ფეხბურთელებიო.

ჩვენ კი გავიხსენოთ, რომ დღედღეზე იენაში რუსთავის „ოლიმპის" მცველები — გიორგი ონიანი და გიორგი სეთურიძე ჩავლენ.

კონკრეტულად რომელი ქართველი ბიზნესმენი ყიდულობს იენურ კლუბს, ჯერჯერობით უცნობია...

ისე, გერმანელები 1981 წლის 13 მაისის თასების თასის ფინალსაც იხსენებენ — ჩვენს „კარლ ცაისს" სწორედ ქართველებმა მოუგეს და მას შემდეგ ნაცნობობის „არხი" გაიხსნაო.

**ილია ნანობაშვილი**

# ფული თუ არმინია?

## იაშვილის არჩევანი: ბუნდესლიგა



**ფრაიბურგელი** ალექსანდრე იაშვილის „არმინიაში" გადასვლის შანსი გაიზარდა.

გერმანული „კიკერის" ცნობით, ქართველ ფორვარდს ბუნდესლიგაში თამაში ამოუჭრია გულში და საამისოდ ბილეფელდური კლუბი ყველაზე მისაღები ვარიანტი ჩანს.

„არმინიას" ფინანსურად გაცილებით ძლიერი კონკურენტი ჰყავს — მეორებუნდესლიგელი „ჰოფენჰაიმი", რომლის ახალი მთავარი მწვრთნელი ახიმ ზარსტედტი დიდი ხნის მანძილზე მუშაობდა „ფრაიბურგში" იაშვილთან ერთად და ახლა ქართველისთვის დიდი მონდომებით იბრძვის, თუმცა ჩვენებურს ბუნდესლიგა უფრო ხიბლავს.

ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს ისტორია...

**ნინო სილაგაძე**

# კოსტავა მერანში

**საქართველოს** ჩემპიონატის უმაღლესლიგელ თბილისის „მერანს" ახალი მწვრთნელი ჰყავს — თამაზ კოსტავა, ვინც ბოლოს „ნორჩ დინამოელს" თავკაცობდა.

„მერანი" კი დატოვა ასლან ბალაძემ, რომელმაც მეორე წრეში ჩაიბარა გუნდი.

# ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი

**ფიგუს ნაკრები 5:4 მსოფლიო XI**

0:1 კოკუ (9), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (12), 1:2, 2:2 ლინცი (23, 34), 2:3 იბრაჰიმოვიჩი (35), 3:3 პ. ფერეირა (53), 3:4 სა პინტუ (65), 4:4, 5:4 კვარესმა (80, 90)

**ფიგუს ნაკრები:** ტოლდო (უილიამი 46), შავიერი (ნელსონი 46), ფ. კოუტუ (პოპესკუ 46), დე ბური (შაკირი 46), პ. ფერეირა, ოსეანუ (პ. მენდეში 26), გვარდიოლა (ნაკატა 46), რუი კოშტა (სოლარი 46), ფიგუ (კვარესმა 46), ლინცი (პოშტიგა 40; უილ ჩემპიონი 67), ჩიკო ბუარკე (ეროს რამაზოტი 26; არველაძე 61)

**მწვრთნელები:** ლუიშ ფელიპე სკოლარი, ფლავიო ტეიშეირა, დარლინ შნაიდერი

**მსოფლიო XI:** ენკე (ორლანდონი 35; დანიელ ფერნანდეში 63), ჟერემი (სერჟიუ კონსეისაუ 46), ფ. მეირა (ბერთოლდი 35; ტონელი 61), კივუ (პეპე 46), ნუნუ ვალენტე (როჟერიუ მატიაში 46), სერჟიუ კონსეისაუ (ზა პინტუ 46), ზიდანი (კაზმერჩაკი 51), კოკუ (ფიგუ 46), საიდუ (ესტევეში 46), იბრაჰიმოვიჩი (მანტორაში 46), ჟოაუ გილი (რუი ველოზო 19; პაჯი 30; ბაშარი 61)

**მწვრთნელები:** პაულუ ბენტუ, უმბერტუ კოელიუ

**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)

65 000 მაყურებელი





# შოთა: ვარსკვლავი ვარსკვლავთცვენაში

**ვარსკვლავთცვენა** იყო ლისაბონის „ჟოზე ალვალადეზე" — ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, გეორგე ჰაჯი, რუი კოშტა თუ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... იქ იყო ქართველი ვარსკვლავი შოთა არველაძეც!

ფიგუს მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო თამაშს ბლომად მაყურებელი დაესწრო, მათ ნამდვილი შოუ ნახეს. ამ შოუს მონაწილე უნდა ყოფილიყო კიდევ ერთი ქართველი კახა კალაძე, თუმც არც „კალა" და არც სხვა მილანელები ლისაბონში არ ჩასულან.

ლისაბონურ „ოლ სტარში" მთავარი ფიგურა ფიგუ იყო — მან პირველი ტაიმი თავის სამეგობრო გუნდში ითამაშა, მეორე ნახევარში კი მსოფლიოს ნაკრების მაისურა ეცვა.

ყველას სურდა, პორტუგალიელ ვარსკვლავს გოლი გაეტანა. ყველას, „ბოავიშტას" შავკანიანი მეკარე უილიამის გარდა, რომელმაც ლუიშს პენალტიც აუღო.

შოუ-მატჩი 5:4 დამთავრდა — ფიგუს გუნდი იგებდა, მაგრამ „პორტუს" ახალგაზრდა შემტევმა რიკარდუ კვარესმამ ჯერ გაათანაბრა, მერე კი მეგობრული ფრე არ ინება და ბოლო წუთზე გადამწყვეტი შეაგდო.

ამ კვარესმამ ყველა თანაგუნდელი დაღალა, იმდენს ათრევდა ბურთს და იმდენს პოზიორობდა — რამდენჯერმე არველაძესაც არ ალირსა პასი.

მოგებულთაგან კვარესმას გარდა, როლანდ ლინცმა ორი შეაგდო, ერთიც პაულუ ფერეირამ გაიტანა. წაგებულთაგან კი დუბლი გაიფორმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, თითო-თითოჯერ კი ფილიპ კოკუმ და რიკარდუ სა პინტუმ გაიხარეს.

და შოთა... ჩვენიანს ორჯერ მიეცა გატანის შანსი: ერთხელ მეკარეს არაზუსტად გადაუგდო ბურთი თავზე, მეორედ კი მოატყუა, მაგრამ დაუფარავი კარიდან მცველმა გამოიტანა მისი დარტყმული.

იყო მხიარულება, ერთმანეთის მოფერება და ყველაფერი, რაც ნაღდ შოუს შეეფერება — ეგაა, კვარესმამ ცოტა „არაამხანაგური" წერტილი დასვა.

და მარტო ფეხბურთის ვარსკვლავები? ყოჩაღად აგორებდნენ ბურთს იტალიელი მომღერალი ეროს რამაზოტი და როკ-მუსიკოსი ვილ ჩემპიონიც.

ქართველმა ბომბარდირმა „ჟოზე ალვალადეზე" ბოლო ნახევარი საათი ითამაშა — ეროს რამაზოტი შეცვალა.

**ილია ნანობაშვილი**

# თვალი თვალი

*მუშკეტერთა განთქმული დევიზი — ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის — დღესაც ფასეულია. ისეთი დევიზია, მუდამ ფასეული რომ იქნება.*

*5 ივნისს ამ დევიზმა დიუმას წიგნიდან ჩვენი ეროვნული სტადიონის გასახდელის კარზე გადაინაცვლა, მისი ერთგულება კი იმ გასახდელში შესვლისას ფეხბურთელებმა საკუთარი ავტოგრაფებით დაამოწმეს.*

*მიხვდებოდით, რომელი გუნდის ფეხბურთელებზეა ლაპარაკი — 5 ივნისს „ეროვნულზე" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ესპანეთისას შეხვდა და, მართალია, დამარცხდა,ვერავინ იტყვის, ჩვენმა ბიჭებმა უჯიგროდ ითამაშესო.*



გიო ახვლედიანის

სვეტი

# ევრო ჯორჯია

მგონი ისეა, როგორც ზუმბას სიმღერაში: მღერის, მღერის ჩვენი ზუმბა და უცებ გამოურევს ხმამაღალ და დაუვიწყარ შეძახილს: ევრო-ჯორჯია, ევრო...

როგორც ზუმბა გამოურევს ხოლმე, ისე ჩვენი გუნდიც გამოურევს, მაგრამ მერე მიავიწყდება და დაუბრუნდება ძველსა გზასა. ეს განსაკუთრებით გაზაფხულის მიწურულს გამოჩნდა, როცა საქართველოს ნაკრებმა ორი თამაში წააგო ძველებურ სტილში.

კლაუს ტოპმიოლერის ხელში ადრეც აგებდა, მაგრამ არა ძველებურ სტილში: უფრო ევრო-ჯორჯიას შეძახილით და ეს ბოლო ორი წაგება უფრო ამიტომაც იყო გულსატკენი.

ცნობილი ამბავია: წამყვანი ფეხბურთელების ტრავმები, კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა და ასეთი რამეები. ამას თუ მივყვებით, ოკუპირებულ ტერიტორიებამდე მივალთ და ფეხბურთი საერთოდ დაგვავიწყდება. მალხაზ ასათიანის ლამის უკვე მარადიული არყოფნა, შოთას წასვლა ნაკრებიდან... განა ჩამოთვლა დაეზარება კაცს? მაგრამ ამ ჩამონათვალზე პასუხების გაცემაც არავის მობეზრდება. ყველა კითხვას აქვს პასუხი.

ქართულ ფეხბურთში ისეთი დიდი არაფერი დრამა ტრიალებს, რომ პასუხები შექსპირიდან იყო საძებარი.

ამ ევრო-ჯორჯიას ამბავში კიდევ ერთი ევრო-რამე გამახსენდა: გაზეთებში, საბინაო განცხადებებს რომ მიაწერენ ხოლმე, ევრორემონტიო. როგორც ის არის ევრორემონტი, ისე ეს არის ხოლმე ევრო-ჯორჯია.

მე ერთი რამე მახსოვს: (არა, ბევრი მახსოვს, მაგრამ ერთი მახსოვს) გრიგოლ ცაავას დებიუტი ჩვენს სტადიონზე წვიმიან საღამოს შეცვლაზე. სუსხისგან ლოყაწითელი იყო თეთრ მაისურში და მარცხენა ფრთაზე მიხაზ-მოხაზა სრულიად გადასარევად. ვიღაცამ წამოისროლა ტრიბუნაზე ზუსტად ერთ წუთში: ეს ვოვაზე მაგარი იქნება, ტო!

აი, ეს მომენატრა.

მგონი, აღარ გამოდის, რომ გამოხტეს ვიღაც ცხრამეტი წლის ბიჭი და ფუტბოლი შეუბეროს. აი, ნასრის შემხედვარეს გამახსენდა გრიშას ფლანგზე გამოსვლაც და მივხვდი, ათასიდან ერთი რა მომენატრა ჩვენს ფეხბურთში: ნასრისავით ბიჭი.

გამოხტეს, რა, თუნდაც ათი წუთი რომ რჩება მაშინ... ეჰ, ევრო-ჯორჯია, ევრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ივო შუშაკის საქართველო!

## პიჯაკი გარდერობშია, გაზეთი არქივში






საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი ივო შუშაკი თბილისს მორიგი მეგობრული ვიზიტით ეწვია და გუშინ ზაგრებში დაბრუნდა. გეხსომებათ, ხორვატი სპეციალისტი თბილისის „დინამოს“ ორსეზონნახევარი ხელმძღვანელობდა და გუნდს ჩემპიონობა და თასი მოაგებინა, ხოლო საქართველოს ნაკრებს რუსეთთან ევროშესარჩევ მატჩში ისტორიული გამარჯვება მოაპოვებინა. რუსეთთან შეხვედრის გარდა კი შუშაკმა ჩვენი ეროვნული გუნდი ირლანდიაშიც ათამაშა...

მას საქართველო უყვარს და ჩვენშიც დაფასებული კაცია. „დინამოდან“ და ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ივო შუშაკი თბილისს უკვე მეხუთედ გვესტუმრა და, როგორც თავად ამბობს, როცა დრო აქვს, გული საქართველოსკენ მოუწევს.

ასე იყო ამჯერადაც...

ივო შუშაკს კი ცხადია, არც ჟურნალისტები დავიწყებია და ვიდრე უკან წავიდოდა, ჩვენც გვესაუბრა...

— როგორც აქამდე, საქართველოში ახლაც კერძო ვიზიტით ვარ, მონატრებულ მეგობრებს შევხვდი და ეს ორი-სამი დღე მათთან ერთად გავატარე. საქართველო, ქართული სამზარეულო და ყველაფერი ქართული ძალიან მიყვარს და აქ ამიტომაც ჩამოვდივარ ხოლმე ასე ხშირად. საქართველოში მუშაობის პერიოდი ჩემთვის დაუვიწყარია. თბილისში თავს ისევ ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. გავიმეორებ, რომ ეს არ არის საქმიანი ვიზიტი, მეგობრები ვნახე და ცხონებული გივი ნოდიას საფლავზე ვიყავი. საქართველოში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ჩამოვდიოდი და ჩამოვალ კიდეც.

— ბოლო დროს საქართველოდან საქმიანი წინადადება არ მიგიღიათ?

— არანაირი. საქართველოდან სამსახურის თაობაზე არავინ დამკავშირებია. თუმცა თუ შემეხმიანებიან, წინადადებებს სიამოვნებით განვიხილავ.

— არადა, ხმა გავრცელდა, ივო შუშაკს საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ იწვევსო...

— არაფერი მსგავსი, ცხოვრებას ვფიცავ, არანაირი წინადადება არ მიმიღია. საქართველოში ამჯერადაც მეგობრების მოსანახულებლად ჩამოვედი. რამდენიმე მეგობარი კი ამას წინათ ჩემს 50 წლის იუბილეზე მყავდა დაპატიჟებული და ძალიან გამიხარდა, იმ დღეებში მათი მასპინძლობის საშუალება რომ მქონდა.

— ამჟამად რას აკეთებთ?

— „ოსიეკიდან“ წამოსვლის შემდეგ, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, უმუშევარი ვარ. სხვადასხვა ქვეყნის გუნდებიდან წინადადებები კი მქონდა, მაგრამ ახალი სამსახურისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ. იცით, როცა საქმეს, მთავაზობენ, ორი აუცილებელი პირობა მაქვს: გუნდი უნდა იყოს ამბიციური და მხოლოდ პირველობისთვის იბრძოდეს და მეორე, კლუბს მყარი ფინანსური მდგომარეობა ჰქონდეს. სადაც ორივე ეს ერთად არ არის, იქ არ ვიმუშავებ.

— სხვათა შორის, ადრე ითქვა, შუშაკმა, შესაძლოა, ინგლისური პრემიერლიგის რომელიმე გუნდი ჩაიბაროსო. ასე იყო?

— ბადრი პატარკაციშვილს დიდ პატივს ვცემ. „დინამოდან“ წასვლის შემდეგაც ხშირად ვხვდები მას და ვამაყობ, ასეთი გულთბილი ურთიერთობა რომ მაქვს. ერთ-ერთი შეხვედრისას კი მან მკითხა, რაიმე ვარიანტი რომ იყოს, ინგლისში თუ იმუშავებდიო. რატომაც არა-მეთქი, ვუპასუხე. ეს იყო და ეს, ამის იქით საქმე აღარ წასულა. ოფიციალური წინადადება არ მიმიღია.

— თბილისის „დინამოში“ მუშაობის პერიოდიდან ყველაზე კარგად რა გახსენდებათ?

— ის, რომ აქ ყველაფერი კარგად იყო და ყველაფერი მსიამოვნებდა. ასეა ახლაც, სიამოვნებით ჩამოვდივარ ხოლმე. წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი, პირველი, რაც კარგად მენიშნა, სამი თვის შემდეგ ფეხბურთელთა საგრძნობი პროგრესი იყო. მაშინ ვიგრძენი და დავრწმუნდი კიდეც, რომ საქართველოში ტყუილად არ ჩამოვსულვარ, ფეხბურთელები ჩემს იდეებს იზიარებენ და მათთან ერთად წარმატებასაც მივაღწევდი.

— თქვენი დროის „დინამოს“ ფეხბურთელებზე რას იტყვით?

— ალალად გეტყვით, რომ მეგონა, ის ფეხბურთელები, რომლებიც მაშინ „დინამოში“ იყვნენ, ახლა ნაკრების ლიდერები იქნებოდნენ. ბურდული, კვირკველია, გოგობერიშვილი, დარასელია, ალექსიძე საქართველოს ნაკრებში გამოვიძახე, მაგრამ იქამდე ეს ალექსანდრე ჩივაძეს გაეკეთებინა. ისინი სწორედ ახლა არიან იმ ასაკში, როცა ნაკრების ლიდერობა უნდა იკისრონ, მაგრამ... ვერ გეტყვით, ასე რატომ არ არის.

— სიტყვამ მოიტანა და, ნაკრების ამასწინანდელი მატჩები თუ ნახეთ?

— მხოლოდ საფრანგეთთან მატჩის ფრაგმენტები. ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მეტოქის კართან საქართველოს შექმნილ მომენტებს ველოდი, მაგრამ ასეთი ვერაფერი ვნახე. მაგრამ ვიცი, რომ საქართველოს არ ჰყავდა მალხაზ ასათიანი — ის ძალიან მაგარი ფეხბურთელია და, როცა ნაკრებს დაუბრუნდება, გუნდიც სულ სხვანაირად ითამაშებს.

— საქართველოსთან და ასათიანთან კი თქვენ სხვა მოგონებაც გაქვთ...

— რუსეთი? საქართველო — რუსეთის ის მატჩი და მატჩის შემდგომი ამბები ჩემთვის ხომ დაუვიწყარია და არ ვიცი, ჩემს ცხოვრებაში ასეთი რამ განმეორდება თუ არა. ის მატჩი და ასათიანის გოლი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ტკბილი და ლამაზი მოგონებაა. სიხარული, ემოცია და მოგება როგორ არ მინახავს, მაგრამ რაც იმ დღის საღამოს იყო... ჩემი ხელმძღვანელობით ხორვატიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბელგრადში სერბი თანატოლები დაამარცხა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე, როცა მწვრთნელის თანაშემწე ვიყავი, ხორვატიამ მესამე ადგილი დაიკავა და თითქოს ამ წარმატებებზე დიდი სიხარული რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველო — რუსეთის მატჩისშემდგომი ამბები სულ სხვა განცდა იყო. არადა, მატჩი რომ დამთავრდა, პირდაპირ ტელევიზიაში წავედით, შემდეგ ბანკეტი გაიმართა და იმ დღეს არც ვიცოდი, ქალაქში რა ხდებოდა. მერე კი ყველაფერი ვნახე...

— ამ გახსენებაზე, ის კუბოკრული პიჯაკი, რომელიც რუსეთთან მატჩამდე გეცვათ და ქართველებს თავი ამითაც დაამახსოვრეთ, ახლა სად არის?

— ჩემს გარდერობში. ათასი პიჯაკი მაქვს გამოცვლილი, მაგრამ მას ჩემთვის სულ სხვა ფასი აქვს. სხვათა შორის, არც გაზეთებს ვინახავ ხოლმე, მაგრამ ის „სარბიელი“, სადაც წერია — „დიდი მადლობა, ივო!“ და „ივო ველიჩესტვო“, დღემდე ჩემს არქივშია.

— საქართველოს ნაკრებს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, ეროვნული გუნდის მწვრთნელი უნდა ცხოვრობდეს თუ არა საქართველოში?

— რა თქმა უნდა, ის აქ უნდა იყოს და მთლიანად ქართული ფეხბურთით ცხოვრობდეს. სხვანაირად არც წარმომიდგენია. ნაკრების მწვრთნელმა თავიდან ბოლომდე უნდა იცოდეს, რა ხდება ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში, როგორია ფეხბურთელების მენტალიტეტი... მაგალითად, თავად, როცა „დინამოს“ მწვრთნელი ვიყავი, წელიწადში სულ ორჯერ მივდიოდი შინ და ისიც ორი-სამი დღით. დანარჩენ დროს კი დიღმის ბაზაზე ვატარებდი. აუცილებელია ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება. რუსეთში ახალჩასული გუს ჰიდინკიც თავიდან ასე იქცეოდა, მაგრამ ახლა ტურში ორ-სამ მატჩს ესწრება. ამ ყველაფერს სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. მიმაჩნია, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ამ ქვეყანაში უნდა იცხოვროს, სადაც მუშაობს!

**კობა ინასარიძე**



## დღეს ყენია შალკეს მიიღებს

**დღეს** ლევან ყენია გერმანიიდან მიწვევას ელის და, სავარაუდოდ, მისი და „შალკეს“ ურთიერთობის ამბავი ამ კვირაშივე უნდა გადაწყდეს.

როგორც მისმა ბიძამ, გიორგი კიკნაძემ გვითხრა, ჯერჯერობით უცნობია, როდის წავა ყენია გერმანიაში. თუმცა, როცა ეს მოხდება, მასთან თავად კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე გაჰყვებიან — ყველაფერი კვირის ბოლოსთვის უნდა გაირკვეს.

შეგახსენებთ, რომ ყენიას ადრე ესპანური „ლევანტე“ ეპატიჟებოდა, მაგრამ არასრულწლოვანობის გამო კონტრაქტი ვერ გაუფორმა. სამაგიეროდ, იგივე საქმის მოგვარება „შალკემ“ იკისრა და თუ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც მხარეები ვარაუდობენ, ახალი სეზონიდან 16 წლის ყენია გელზენკირხენული კლუბის ახალგაზრდული გუნდის მაისურას მოირგებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ლოკომოტივი საშუალოდ დაიწყებს

**თბილისის** „ლოკომოტივი“ დღეს შეიკრიბება. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ გვითხრა, ვაკელებს ახალ ჩემპიონატშიც საშუალო დონის გუნდი ეყოლებათ და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას სამომავლოდ თუ დაგეგმავენ.

„გუნდი დღეს შეიკრიბება. წამსვლელი ალბათ მარტო ლევან ყენიაა. რაც შეეხება მომსვლელებს — ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე ფეხბურთელს დავიმატებთ, თუმცა ხმაურიანი ტრანსფერები ნამდვილად არ გვექნება. ახალ ჩემპიონატში ისევ საშუალო დონის გუნდი ვიქნებით. ასეთია კლუბის ხელმძღვანელობის აზრი. ამბიციური კლუბის ჩამოყალიბებას კი მომავალი წლიდან დავიწყებთ, საგურამოში მშენებარე ბაზა დასასრულს უახლოვდება და ჩვენც ამას ველით. მომავალი წლიდან „ლოკომოტივს“ ერთ-ერთი საუკეთესო ინფრასტრუქტურა ექნება საქართველოში...

...ახალი სეზონისთვის არც უცხოურ შეკრებას ვგეგმავთ, გუნდი თბილისში ივარჯიშებს, ერთი შეკრებას კი ზღვისპირეთში გავივლით“ — გვითხრა გუშინ კიკნაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ყვითლები სიმწვანეში
## ამერმა მზადება სიახლეებით დაიწყო

**შაბათს** გვეწერა, საქართველოს თასის მიჯრით ორგზის მფლობელი თბილისის „ამერი" დღეს ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებსო და ასეც მოხდა.

ვარჯიში ჩვეულებრივი კი იყო, მაგრამ მაინც გამორჩეული გახლდათ: „ამერის" ახალწვეულებმა, კობა შალამბერიძემ და არჩილ ალავიძემ გუნდთან ერთად პირველად ივარჯიშეს.

და კიდევ: შაბათს იპოდრომზე რევაზ გოცირიძე და ბაჩანა ცხადაძეც იყვნენ — მართალია, ისინი ჯერ ამერელები არ არიან, მაგრამ გუნდთან ერთად ვარჯიში მოწმობს, რომ ამის ალბათობა დიდია.

გოცირიძე გასულ სეზონში რუსთავის „ოლიმპში" მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი (პირველად თბილისის „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად), ცხადაძე კი ბოლნისის „სიონში" თამაშობდა...

ერთიც: პირველი ვარჯიში გუნდის მთავარი მწვრთნელის თანაშემწეებმა ჩაატარეს, რაკი გიორგი ჩიხრაძე ჰოლანდიაშია სამწვრთნელო კურსებზე და გუნდს ბორჯომულ შეკრებაზე შეუერთდება.

ბორჯომში „ამერი" ხვალ მიდის...

**კოტე კეკელია**



ძველ ამერელებთან, ლადო ნადირაშვილთან და გივი დიდავასთან ერთად ახალწვეულებმა, კობა შალამბერიძემ და რევაზ გოცირიძემ ივარჯიშეს



გუნდთან ერთად იყვნენ ბოლნისის „სიონიდან" შემატებულები (მარჯვნიდან მეოთხე-მეხუთე): არჩილ ალავიძე და ბაჩანა ცხადაძეც

# ვებგვერდებზე ესპანეთი ჩვენია

**22 აგვისტო** ფიფას დღეა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც აქტიურად მუშაობს ამხანაგური მატჩისთვის სპარინგ-პარტნიორის მოსაძებნად.

ითქვა, ყველაზე მეტი შანსი ლუქსემბურგს აქვსო, თუმცა ბოლო ხანს ესპანეთის ვარიანტიც გამოჩნდა, რაც ფიფას ვებგვერდმაც დაწერა.

გუშინ კი, საქართველო — ესპანეთის მატჩის ჩატარება ფაქტობრივად გადაწყვეტილიაო, ESPN-მაც გაავრცელა.

იმედია, ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია ამის თაობაზე ოფიციალურ კომენტარს მალე გააკეთებს...

# სიონის ახალი პრეზიდენტი: გია დაუშვილი

**ბოლნისის** „სიონს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს: როგორც იცით, კლუბის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტი გია არევაძე ბოლნისის გამგებლობიდან გადადგა, მის ნაცვლად კი გია დაუშვილი დაინიშნა, რომელიც, შესაბამისად, საფეხბურთო კლუბ „სიონის" პრეზიდენტიც იქნება.

დაუშვილი უკვე შეხვდა კლუბის ხელმძღვანელობას და გარკვეული მონახაზიც გაკეთებულია — როგორც „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა გვითხრა, ახალ პრეზიდენტს სერიოზული გეგმები ჰქონია და ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

## ქართველები თერთმეტი მეტრიდან ისვრიან
## დღეს მალხაზ ასათიანს ველით!

**უმეტეს** ევროპულ ქვეყანაში ჩემპიონატები დამთავრდა, თუმც ქართველ ლეგიონერებზე დასაწერი მაინც გვაქვს. ვერ ვიტყვით, ჩვენიანებმა მეტოქეებს ბდღვირი ადინესო, მაგრამ რაცა ვართ, ესა ვართ...

მესამე საიმსეზონო გოლი გაიტანა „კრილიას" *დავით მუჯირმა* — ჩვენიანმა პენალტით იხეირა, მისი გუნდი კი 2:0-ს უგებდა „კუბანს", თუმც მოახერხა და წააგო. მუმუსიანები გამარჯვებას შემთხვევაში პრემიერლიგის ლიდერები ხდებოდნენ, რაკილა მოსკოვის ცსკა „ლუჩ-ენერგიასთან" 0:4 შერცხვა.

საამაყო ფრე გაახერხა ნალჩიკის „სპარტაკმა" — მოსკოვურ სეხნიას სტუმრად 2:2-ზე გაეყარა. არადა, ყაბარდოელები სულაც 2:0 იგებდნენ, ნალჩიკელთაგან სრულად ითამაშა *ალეკო ამისულაშვილმა*, *ლევან გვაზავა* კი არ გამოჩენილა.

ყაზანის „რუბინმა" *ნუკრი რევიშვილისა* და *ლაშა სალუქვაძის* გარეშე წააგო „ტომთან" 0:2, ხოლო *გოგიტა გოგუამ* ბოლო 8 წუთი ითამაშა „სატურნში" — მისიანებმა ფრეების სერია გააგრძელეს, ამჯერად მოსკოვის „დინამოსთან" 1:1. გოგუამ კი, ეტყობა, სავიზო პრობლემები მოაგვარა...

...დღეს პრემიერლიგის კიდევ ერთი მატჩია და, შეიძლება, მალხაზ ასათიანი გამოჩნდეს მინდორზე! მოსკოვის „ლოკომოტივი" „ზენიტს" ხვდება და გამოჯანმრთელებული ასათიანი 18-კაციან განაცხადში ნაღდად იქნება.



ირაკლი მოდებაძე

უკრაინაშიც ერთი ქართული გოლი გავიდა და ასევე პენალტით: *ირაკლი მოდებაძემ* „ხარკოვს" გაუტანა, მისმა ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" კი 3:1 მოიგო. მოდებაძის თანაგუნდელ *დავით კვირკველიას* არ უთამაშია — ალბათ, სანაკრებო მატჩების შემდეგ მწვრთნელმა დაასვენა.

*ჯაბა კანკავას* გარეშე მოთამაშე „დნიპრომ" 3:0 გადაურბინა *გიორგი ჭელიძის* „ზარიას" — „პაჭელომ" მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა.

„არსენალის" *ლაშა ჯაკობიამ* 76 წუთი იბურთავა სტუმრად „ილიჩევეცთან" 1:4 წაგებული მატჩში, კრივბასელი *ვასილ გიგიაძე* კი 90 წუთი იყო მინდორზე და მისიანებმა 1:0 სძლიეს „ტავრიას". მეორე კრივბასელ ქართველს, *ლადო ბურდულს* კვლავ არ უთამაშია.

27 წუთი ითამაშა შეცვლაზე *გიორგი დემეტრაძემ*, დონეცკის „მეტალურგი" კი უგოლოდ გაეყარა „ვორსკლას".

ბარემ ლატვიაში გამართულ ტურზეც ვთქვათ, სადაც გოლთაცვენამ მიიქცია ყურადღება. *დავით გამეზარდაშვილ-ზაალ ელიავას* „სკონტომ" შინ 4:4 ითამაშა „რიგასთან", *ზურაბ მენთეშაშვილის* „ვენტსპილსმა" კი სტუმრად „დინაბურგს" 4:2 აჯობა. სამივე ჩვენებურმა სრულად ითამაშა, თუმც გოლთან და საგოლე პასთან უცხოდ იყვნენ.

**ილია ნანობაშვილი**

## 34 წუთი ლიდერობამდე
### მუჯირი პენალტს არ შეუშინდა

**სამარის** „კრილია სოვეტოვმა" ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან, რუსეთის პრემიერლიგას სათავეში ჩასდგომოდა.



სამარელები კრასნოდარის „კუბანს" 56-ე წუთამდე 2:0-ს უგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და 2:3 დამარცხდნენ.

„კრილიას" ამბები ჩვენთვის საინტერესო დავით მუჯირის გამოა, რომელმაც სრულად ითამაშა, გუნდს უკაპიტნა და პენალტიც გაიტანა.

გეხსომებათ, სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან" მატჩში მუმუმ პენალტი ვერ გამოიყენა — ბურთი ძელს გაარტყა.

აი, რა თქვა „კუბანთან" დრამატული მატჩის თაობაზე *დავით მუჯირმა*: „მშვენიერი შანსი გვქონდა, პირველ ადგილზე გადავსულიყავით. მით უფრო, რომ ცსკა-მ წააგო, ხოლო „სპარტაკმა" ფრე ითამაშა. სამწუხაროდ, 2:0 ვერ შევინარჩუნეთ და წავაგეთ — ასეთებიც ხდება. ფეხბურთში კარგი მომენტებიც არის და ცუდიც, ეს გარდაუვალია. წინა ტურში ჩვენ გაგვიმართლა ტომსკში, როდესაც ვაგებდით და მოვიგეთ, დღეს სხვას უხარია. რაც შეიძლება, მალე უნდა დავივიწყოთ ეს მატჩი. როცა გუნდი 0:2-ს აგებს და სამი გოლის გატანას ახერხებს, გამოდის, რომ დამსახურებულად გაიმარჯვა. „კუბანი" რთული ამოცანის წინაშე იდგა, მაგრამ ორი შორეული გოლით და პენალტით მიზანს მიაღწია".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ნაკრების ახალი ფორმა

## მიხეილ ბერიშვილი: ჯერ ახალგაზრდული, მერე ეროვნული

ახლახან ეროვნული გუნდის მწვრთნელმა გორდონ ჰერბერტმა ნაკრების კანდიდატთა გაფართოებული სია გამოაქვეყნა, რომელშიც ლეგიონერებთან ერთად საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეებიც მოხვდნენ. კანადელს არ გამორჩენია არც ერთი კალათბურთელი, რომელმაც გასულ სეზონში თავი გამოიჩინა და არაერთ გამოცდილთან ერთად, გასასინჯად ახალგაზრდული ნაკრების წევრებსაც უხმო. ჰერბერტის ინტერესის სფეროში მოხვდა 20 წლის მიხეილ ბერიშვილი, რომელიც დღეს ერთ-ერთ ყველაზე პესპექტიულ ახალგაზრდა მოთამაშედ ითვლება საქართველოში. მიშამ თსუ-ში თავი ბრწყინვალედ წარმოაჩინა და ამ გუნდს გვარიანადაც დაეხმარა. ის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა და თუ დღეს ვერა, მომავალში მაინც მოიპოვებს ადგილს ეროვნულ გუნდში. მიშა ბერიშვილს გუშინ შევეხმიანეთ და თავდაპირველად ჰერბერტის გადაწყვეტილებაზე დავეკითხეთ...

— ძალიან გამიხარდა, რომ ეროვნულ ნაკრებში გამომიძახეს. მართალია, გაფართოებულ შემადგენლობაში ყოფნა ნაკრებში მოხვედრას არ ნიშნავს, მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ გორდონ ჰერბერტი ჩემით დაინტერესდა, ძალიან დიდი წარმატებაა.

— ელოდი, რომ კანდიდატთა შორის მოხვდებოდი?

— არ ველოდი, რადგან საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში მაქვს საკუთარი ძალა დასამტკიცებელი. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ახალგაზრდულიდან რამდენიმე მოთამაშეს ეროვნულშიც მიეცემოდა შანსი და არ გამკვირვებია, რომ გამომიძახეს.

— ეს ამბავი როდის გაიგე და რა გეგმები გაქვს?

— ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა მითხრა, რომ ეროვნული ნაკრების კანდიდატებში მოვხვდი და პასპორტის მიტანა მთხოვა. ვინც გამოძახებულია, ყველას საბუთებს აგროვებენ, რათა შემადგენლობაში მოხვედრის შემთხვევაში, საზღვარგარეთული ვიზა გაუკეთონ და შეკრებაზე წაიყვანონ. ახლა რა როგორ იქნება, არ ვიცი. კონკრეტული ინსტრუქცია ჯერ არ მიმიღია, მთლიანად ახალგაზრდულ ნაკრებზე ვარ გადართული.

— ახალგაზრდული ნაკრები 6 ივლისს მიემგზავრება სლოვენიაში ევროპის ჩემპიონატზე, ეროვნულის კანდიდატები კი 4-ში იკრიბებიან...

— ნამდვილად არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ რაკი ეროვნულში გამომიძახეს, შანსი აუცილებლად მომეცემა. 4 ივლისს იქნება ეს თუ ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ, ვერ გეტყვით.

— როგორ ფიქრობ, მზად ხარ ეროვნულში სათამაშოდ?

— ეს უკვე მწვრთნელის გადასაწყვეტია. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და თუ მზად ვიქნები, დარწმუნებული ვარ, არაფერი დამეკარგება. რა თქმა უნდა, მთელი მონდომებით ვეცდები ეროვნულ ნაკრებში მოხვედრას, მაგრამ თუ არ გამომივა, ჩემთვის ეს ტრაგედია ნამდვილად არ იქნება. ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ და ნაკრებს ჩემს პოზიციაზე ძალიან ძლიერი მოთამაშეებიც ჰყავს. ვფიქრობ, ყველაფერი წინ მაქვს და თუ ჩემს საქმეს მაღალ დონეზე გავაკეთებ, მოვა დრო, ნაკრებსაც გამოვადგები.

— ახალგაზრდულ ნაკრებზე რას იტყვი, გვაქვს ევროჩემპიონატზე წარმატების შანსი?

— რა თქმა უნდა, გვაქვს. შარშან B-დივიზიონში ყველას ვაჯობეთ და ეს ცოტას არ ნიშნავს. მართალია, იმ გუნდიდან 1986 წელს დაბადებულები აღარ გვყავს, მაგრამ თუკი ერთსულოვნებას და შემართებას შევინარჩუნებთ, დასახულ მიზანს მივაღწევთ.

— და რა არის ეს მიზანი?

— 8 საუკეთესოში მოხვედრა. თუმცა, რა თქმა უნდა, პროგრამა მინიმუმად ჯგუფიდან გასვლა, ანუ A-დივიზიონში ადგილის შენარჩუნება გვაქვს და ვფიქრობ, ამის მიღწევა შეგვიძლია.

— მეტოქეებზე რას იტყვი?

— არავის არ ვიცნობ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ყველა მონდომებულია და გამარჯვებისთვის ყველაფერს გაიღებენ. იტალია მთავარი ფავორიტია, ლატვიასთან და ბულგარეთთან კი, ვფიქრობ, თანაბარი შანსები გვაქვს.

— საკლუბო კარიერაზე რას გვეტყვი?

— თსუ-ში არცთუ ცუდი სეზონი მქონდა. შარშან მენისკის ოპერაცია გავიკეთე და ამის კვალობაზე გასულ სეზონში ცუდად არ მითამაშია. მუხლი საერთოდ აღარ მაწუხებს და თუ გამიმართლა, უცხოურ გუნდსაც მოვნახავ.

— შენ ჯერ კიდევ გასულ სეზონში აპირებდი ამერიკაში წასვლას და ახლა როგორაა საქმე?

— კლუბის მხრიდან პრობლემა არ მაქვს, მხოლოდ საელჩო მიდგას ჯიბრში. უკვე ორჯერ მითხრეს უარი ვიზის გაცემაზე. ფლორიდის კოლეჯი მეპატიჟებოდა, მაგრამ...

— ევროპულ კლუბში წასვლაზე არ ფიქრობ?

— ამას წინათ გავაფორმე კონტრაქტი მაკედონიელ აგენტ გორან მატრიაკოვთან, რომელიც ჩემი ევროპულ გუნდში გადაყვანითაა დაკავებული. მისი თქმით, ახლა ყველა გუნდი შვებულებაშია და სატრანსფერო სეზონი აგვისტოდან გაიხსნება. მეც ველი და თუკი სასურველი ვარიანტი გამომიჩნდა, ევროპაში წავალ.

**ირაკლი პერტაია**



# ნოზაძემ ევროტრავმა მოიშუშა



**წლევანდელი** ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავემ რამაზ ნოზაძემ ოქროს მედლის გარდა თბილისში მძიმე ტრავმაც ჩამოიყოლა. მას შემდეგ მკურნალობის გამო ერთხანს საერთოდ შეწყვიტა ვარჯიში, მერე ნელ-ნელა მიუბრუნდა დატვირთვებს და უკვე სრული პროგრამით ემზადება. რამაზმა 14-15 ივლისს გივი კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე თავისი ძალა ერთხელაც უნდა დაამტკიცოს და სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობაც გაინაღდოს.

„მხრის ტრავმა ევროპის ჩემპიონატამდეც მაწუხებდა, მაგრამ საგანგაშო არ იყო და გარდაუვალ მკურნალობას არ საჭიროებდა — გვითხრა გუშინ ნოზაძემ — ევროპის ჩემპიონატის ფინალამდეც დამაცალა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრის ბოლოს, მეტოქის დატრიალებისას ისე გამირთულდა, თბილისში ჩამოსვლისთანავე ექიმს მივაკითხე. მხრის და მკერდის კუნთი მთლიანად ჩამწყდარი მქონდა. სარეაბილიტაციო პერიოდი დაახლოებით თვენახევარი გაგრძელდა. საბედნიეროდ, ამ პერიოდში სერიოზული ტურნირები არ ყოფილა. ვარჯიში პირადი მწვრთნელის ოთარ ტატიშვილის შედგენილი სპეციალური პროგრამით განვაახლე და უკვე სრულ დატვირთვებამდეც მივედი. თბილისურ ტურნირამდე თვეზე მეტია დარჩენილი და წესით, ოპტიმალურ ფორმაში ჩადგომა არ უნდა გამიჭირდეს".

**ოთარ მხეიძე**



## მსოფლიოს ჩემპიონატი. მეშვიდე ეტაპი




### კატალონიის დიდი პრიზი. ბარსელონა— 4,727 კმ

**მოტო გრან პრი — 118,2 კმ**

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო) — 43 წთ; 16,9
2 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) — ჩამორჩა 0,1
3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — 0,4

**საერთო ჩათვლა**

1 სტოუნერი 140 ქულა; 2 როსი 126; 3 პედროსა 98; 4 მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრესინი) 75; 5 კრის ვერმეულენი (ავსტრალია, რიზლა სუძუკი) 72

**250 სმ³— 108,7 კმ**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 40 წთ; 51,6
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) — ჩამორჩა 3,2
3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) — 10,6

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 153 ქულა; 2 დოვიზიოსო 117; 3 დე ანჯელისი 115; 4 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) 100; 5 ჰექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) 71

**125 სმ³— 104,0 კმ**

1 ტომოიოსი კოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) — 41 წთ; 06,3
2 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) — ჩამორჩა 0,05
3 რენდი კრუმენაჰერი (შვეიცარია, რედ ბულ KTM) — 0,13

**საერთო ჩათვლა**

1 ტალმაში 115 ქულა; 2 ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) 102; 3 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი ზეედორფ დერბი) 94; 4 სიმონე კორსი (იტალია, სკაილდ აპრილია) 80; 5 სერხიო გადეა (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) 79

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IRB-ს ერთა თასი. 10 ივნისი. ბუქარესტი

## საქართველო 7:24 სამხრეთ აფრიკა U23

# ქართველებმა ბუქარესტში როზინ ჰუდის ისრები დაიჭირეს

საქართველო: ურჯუკაშვილი, შკინინი, გიგაური, დ. კაჭარავა, ელოშვილი, კვირიკაშვილი, სამხარაძე; ხინჩაგაშვილი, ქყონია, ყუფარაძე, მჭედლიშვილი (კაპ), დათუნაშვილი, ი. მაისურაძე, ურუშაძე, ჩხაიძე

სათადარიგონი: ნატრიაშვილი, ჟღენტი, დადუნაშვილი, დიდებულიძე, აბუსერიძე, გურგენიძე, ბარკალაია, ხამაშურიძე, სუთიაშვილი, ზ. მაისურაძე, მაგრაქველიძე

ლ: ტექნიკური; 1ბ: კვირიკაშვილი

ს. აფრიკა U23: ფორჩუნი, ლუდიკი, დელპორტი, ბოსმანი, ნობლი, გრანტი, ვერმაკი; მაკუ, კონსტანტი, სონგონი, ბლიგნუტი, სტენკამპი, ტუიბილიკა, მაკუენა, ჟუბერი

სათადარიგონი: ბრიცი, ფანდერმერვე, ენდრიუსი, სკიტი, ფლურსი, ადამსი, ჩავანგა, ნდუნგანე, პრეტორიუსი, ბარიტი, ლობერცი

3ლ: დელპორტი (3); 3ბ: გრანტი; 1ს: გრანტი

„რუმინეთი ძირითადი შემადგენლობით თამაშობდა, ორი კაცი თუ აკლდა, სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდულმა ნაკრებმა კი 61:7 გადაურბინა. „თქვენ თუ ჩამოხვალთ თბილისიდან და გვიშველით, თორემ აფრიკელებთან შანსი არ გვაქვს. რობინ ჰუდის ისრებივით დაქრიან. ისინი სხვა პლანეტაზე არიან, ჩვენ სხვაზე" — ეს საქართველოს ნაკრების უგამოცდილესმა მორაგბემ ირაკლი აბუსერიძემ ხუთიოდ დღის წინ გვითხრა, როდესაც რუმინეთ-სამხრეთ აფრიკა U23-ს მატჩს ტრიბუნებიდან უყურა.

დავაკონკრეტოთ, მატჩი, რომელზეც ირაკლი აბუსერიძემ კომენტარი გააკეთა, ექვსი დღის წინ ჩატარდა და იქამდე ორი საათით ადრე საქართველოს ნაკრებმა ნამიბიას მოუგო. ერთი განმარტებაც: ეს ყველაფერი ბუქარესტში ხდება, სადაც რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ ორგანიზებული ერთა თასი მიმდინარეობს. ეს ტურნირი თავისი ფორმატით სადებიუტოა და შემოდგომაზე საფრანგეთში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მოსათელი რაგბობაა.

გუშინ ამ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა მეორედ ითამაშა და წააგო სამხრეთ აფრიკის „მზარდ ნაკრებთან" — ასე ეძახიან სამშობლოში თავიანთ 23-წლამდელთა გუნდს.

თავიდანვე ერთხელაც გავიმეოროთ, რომ რაგბი ალბათ სპორტის ყველაზე ლოგიკური სახეობაა და ათასში ერთხელ, რომ დაბალრეიტინგიანმა მოუგოს ძლიერს. გუშინაც ასე იყო, ოღონდ ერთი განსხვავებით, რომ ჩვენები რუმინელებივით კი არ განადგურდნენ, არამედ თამაშში დამარცხდნენ. ერთიც, ამ ამ ტურნირზე საქართველოს ნაკრები მეორე შემადგენლობით ჩავიდა, სამხრეთ აფრიკასთან კი სულაც მესამე რაზმით ითამაშა და შედეგის გათვალისწინებით, კარგადაც.

პირველი ტაიმი აფრიკელებმა 14:7 მოიგეს, თუმცა მანამდე ანგარიში 7:7 იყო. მარიუს დელპორტის ლელოს და პიტერ გრანტის გარდასახვას ქართველებმა ჯგუფური ლელოთი და კვირიკაშვილის გარდასახვით უპასუხეს. აქედან მოყოლებული, სალელოე შანსი ორივე მეტოქეს ჰქონია, თუმცა კლასმა თავისი გაიტანა. იმავე დელპორტმა მეორე ტაიმში ორჯერ დაალელოვა ჩვენები. სხვათა შორის, მარიუს დელპორტი სამი წლის წინ პრეტორიის „ბლუ ბულზს" ახლდა თბილისურ ტურნეზე და საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრების წინაამდეგაც ითამაშა. „ბლუ ბულზი" კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირის ზე-14-ის წლევანდელი ჩემპიონია.



მარიუს დელპორტს რუსთავშიც ურაგბია



„პირველ ტურში ნამიბიას რომ მოვუგეთ, მაშინ ვთქვით, რომ სამხრეთაფრიკელებთან შანსი არ გვქონდა. ახლაც ამ აზრზე ვარ, ოღონდ მართლაც მაგრად ვითამაშეთ. აფრიკელებმა რუმინეთს, რომ იტყვიან, გადაუარეს. ეგონათ, ჩვენთანაც გაისერნებდნენ, მაგრამ ბიჭები მაგრად დაუდგნენ, თანაც მესამე შემადგენლობით ვთამაშობდით და მაინც არაფერი დავუთმეთ. ბოლოს ისე გაგიჟდნენ, ავანტურულ რაგბიზე გადავიდნენ და თავიანთი ნახევრიდან ხელდახელ გვიტევდნენ. შერკინებაში და ჯაჯგურში კი ჩვენ ვაჯობეთ" — გვითხრა ირაკლი აბუსერიძემ, რუმინეთში ნამატჩევს რომ დავუკავშირდით.

**ბაჩო სვანიძე**

არგენტინა A 47:13 ნამიბია

რუმინეთი 19:8 იტალია

### სატურნირო ვითარება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ს. აფრიკა U23 | 2 | 0 | 0 | 41 | 9 |
| საქართველო | 1 | 0 | 1 | -9 | 4 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 | -43 | 2 |
| იტალია | 1 | 0 | 1 | -18 | 1 |
| ნამიბია | 0 | 0 | 2 | -42 | 0 |

ოთხი ან მეტი ლელოს გამტან გუნდს ენიჭება პრემიალური ქულა

შვიდი ან ნაკლები ქულით წამგებ გუნდს ენიჭება პრემიალური ქულა





# ხუთში ორი საფრანგეთია





**ზედიზედ** მეხუთე წელია, თბილისის შვიდკაცაზე საქართველოს ნაკრები ფინალშია, ხუთიდან სამჯერ ვიმარჯვეთ, ორჯერ კი საფრანგეთმა აგვართვა საჩემპიონო ფარი ხელიდან. საფრანგეთი საფრანგეთია და რაგბიში ნებისმიერ ტურნირზე ფავორიტად ითვლება, თუნდაც საცდელი ნაკრებით.

გუშინ მამლებმა ჩვენს ნაკრებს ფინალში ხუთი ლელო გაუტანეს, ოცწუთიანი „თხამ ვენახი შეჭამოს" მაგვარი რიტუალური სიმღერითაც იზეიმეს და თბილისის მერის მიერ გადაცემული თასით გაბრუნდნენ საფრანგეთში. საქმე ისაა, რომ საქართველოს ნაკრებმა დროის მცირე მონაკვეთში სამი ტურნირი ითამაშა, შვიდკაცა ამ მხრივ მომქანცველობით გამოირჩევა და ჩვენს „ლელოებსაც" აშკარად ეტყობოდათ, რომ გადაღლილები და გამოფიტულები იყვნენ. ქართველებმა, ჯერ კიდევ ნახევარფინალში, თითქოს ადვილად დასაჯაბნ უკრაინასთან წაიფორხილეს. ვინ იცის, თამაში როგორ დამთავრდებოდა, მსაჯის სასტვენს სულზე რომ არ მოესწრო. ევროპელმა რაგბის მამებმა იმდენი იძახეს, რაგბი უნდა განვავითაროთ და ოლიმპიურ სახეობად დავამკვიდროთო, რომ აზერბაიჯანის ნაკრებიც კი მეტ-ნაკლებად ერთნაირ ფორმაში გახლდათ გამოწყობილი და თავად გუნდსაც თამაშის ხარისხით არა უშავდა რა. ჩვენმა მეზობლებმა ისრაელთან ჯახში ოდენ მერვე ადგილი მოიპოვეს, რაც, რაგბიში ჩახედული ხალხის აზრით, მშვენიერი შედეგია. ტურნირისწინა პრესკონფერენციაზე თბილისური შვიდკაცას დირექტორმა პიერ ვილპრემ იწინასწარმეტყველა, უკრაინა — მოლდოვა ნახევარფინალშიაო. ისე აგიხდეთ ყველაფერი. მესამე ადგილი ამ ორმა გუნდმა გაითამაშა, სადაც გამარჯვებული უკრაინა გამოვიდა შერკინებაზე ორიენტირებული შემადგენლობით.

ფინალური შეხვედრაში საფრანგეთის პირველი ლელო საკმაოდ საეჭვო ვითარებაში დაიდო. აუტიდან გატანილი ლელო მსაჯმა ან ვერ, ან არ შეამჩნია, ალბათ ისევ და ისევ ჩვენი გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობის გამო. პირველი ლელოს ფაქტორი ალბათ რაგბიშიც არსებობს, მით უმეტეს, გადაღლილ გუნდს თუ გაუტან. ჩვენი „ლელოებისთვის" კი განვლილ ოთხ ტურნირში ნათამაშები ორი ფინალი საკმარისია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად, ეს ჩემპიონატი კი ტრადიციულად მოსკოვში, ორი კვირის შემდეგ გაიმართება.

**ზურაბ მიგრიაული**





მოგებულ-წაგებულთა სამახსოვრო ფოტო ფინალის შემდეგ

### ჯგუფური ეტაპი

პირველი დღე

შაბათი, 9 ივნისი

ბულგარეთი 0:41 საფრანგეთი

საქართველო 45:5 საბერძნეთი

უკრაინა 21:0 ბელგია

მოლდოვა 22:7 ლატვია

საფრანგეთი 45:5 აზერბაიჯანი

საქართველო 35:0 ისრაელი

უკრაინა 48:0 ბულგარეთი

მოლდოვა 47:12 საბერძნეთი

ბელგია 29:0 აზერბაიჯანი

ლატვია 21:12 ისრაელი

საფრანგეთი 10:0 უკრაინა

საქართველო 35:0 მოლდოვა

ბელგია 19:19 ბულგარეთი

ლატვია 38:12 საბერძნეთი

უკრაინა 43:0 აზერბაიჯანი

მოლდოვა 21:15 ისრაელი

მეორე დღე

კვირა, 10 ივნისი

საფრანგეთი 42:0 ბელგია

საქართველო 12:7 ლატვია

აზერბაიჯანი 12:7 ბულგარეთი

ისრაელი 19:5 საბერძნეთი

### A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 0 | 0 | +133 | 8 |
| უკრაინა | 3 | 0 | 1 | +102 | 6 |
| ბელგია | 1 | 1 | 2 | -34 | 3 |
| აზერბაიჯანი | 1 | 0 | 3 | -107 | 2 |
| ბულგარეთი | 0 | 1 | 3 | -94 | 1 |

### B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 0 | 0 | +115 | 8 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | +21 | 6 |
| ლატვია | 2 | 0 | 2 | +15 | 4 |
| ისრაელი | 1 | 0 | 3 | -36 | 2 |
| საბერძნეთი | 0 | 0 | 4 | -115 | 0 |

### პლეი ოფები

სინის ნახევარფინალი

ბელგია 3:17 ისრაელი

აზერბაიჯანი 0:33 ლატვია

თასის ნახევარფინალი

საფრანგეთი 33:7 მოლდოვა

საქართველო 17:12 უკრაინა

მე-9 ადგილისთვის

ბულგარეთი 53:0 საბერძნეთი

მე-7 ადგილისთვის

ისრაელი 33:5 აზერბაიჯანი

სინის ფინალი

(მე-5 ადგილისთვის)

ბელგია 5:24 ლატვია

მე-3 ადგილისთვის

მოლდოვა 0:19 უკრაინა

### თასის ფინალი

საქართველო 12:27 საფრანგეთი

# როლან გაროსი 2007

პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €





## ჟუსტინ ენინი

დაიბადა 1982 წლის 1 ივნისს ლიეჟში (ბელგია). ბელგიის მოქალაქე. ცხოვრობს მარლიულში (ბელგია). სიმაღლე 168 სმ. წონა 57 კგ. პროფესიონალია 1999 წლიდან. **WTA**-ს რეიტინგის პირველი ნომერი (პირველად კლასიფიკაციას სათავეში ჩაუდგა 2003 წლის 20 ოქტომბერს). კარიერაში მოპოვებული აქვს ერთეულთა 33 (მათ შორის 6 დიდი სლემის: ავსტრალია — 2004; როლან გაროსი — 2003, 2005-07; აშშ — 2003) და წყვილთა 2 ტიტული. ჩატარებული 459 მატჩიდან 370 მოიგო და 89 წააგო. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 15 400 000 ამერიკული დოლარი.

### ენინი 2007 წლის როლან გაროსზე

| | | |
|---|---|---|
| პირველი წრე | ენინი — ელენა ვესნინა (რუსეთი) | 6:4 6:3 |
| მეორე წრე | ენინი — ტამირა პაზეკი (ავსტრია) | 7:5 6:1 |
| მესამე წრე | ენინი — მარა სანტანჯელო (იტალია) | 6:2 6:3 |
| მეოთხე წრე | ენინი — სიბილ ბამერი (20, ავსტრია) | 6:2 6:4 |
| მეოთხედფინალი | ენინი — სერენა უილიამსი (8, აშშ) | 6:4 6:3 |
| ნახევარფინალი | ენინი — ელენა იანკოვიჩი (4, სერბეთი) | 6:2 6:2 |
| ფინალი | ენინი — ანა ივანოვიჩი (7, სერბეთი) | 6:1 6:2 |

## რაფაელ ნადალი

დაიბადა 1986 წლის 3 ივნისს მანაკორში (მალიორკა, ესპანეთი). ესპანეთის მოქალაქე. ცხოვრობს მანაკორში. სიმაღლე 183 სმ. წონა 75 კგ. პროფესიონალია 2001 წლიდან. **ATP**-ის რეიტინგის მეორე ნომერი. კარიერაში მოპოვებული აქვს ერთეულთა 22 (მათ შორის სამი დიდი სლემის: როლან გაროსი 2005-07) და წყვილთა 3 ტიტული. ჩატარებული 283 მატჩიდან 226 მოიგო და 57 წააგო. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 11 300 000 ამერიკული დოლარი.

### ნადალი 2007 წლის როლან გაროსზე

| | | |
|---|---|---|
| პირველი წრე | ნადალი — მაიკლ რასელი (აშშ) | 6:4 6:2 6:4 |
| მეორე წრე | ნადალი — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 7:5 6:3 6:2 |
| მესამე წრე | ნადალი — ფლავიო ჩიპოლა (იტალია) | 6:2 6:1 6:4 |
| მეოთხე წრე | ნადალი — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) | 6:1 6:3 6:2 |
| მეოთხედფინალი | ნადალი — კარლოს მოია (23, ესპანეთი) | 6:4 6:3 6:0 |
| ნახევარფინალი | ნადალი — ნოვაკ ჯოკოვიჩი (6, სერბეთი) | 7:5 6:4 6:4 |
| ფინალი | ნადალი — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) | 6:3 4:6 6:3 6:4 |

# ძველ-ახლები ძველების კვალზე

## ენინმა სელეში გაიმეორა, ნადალმა ბორგი გაგვახსენა

რაფაელ ნადალი იყო, არის და, ისეთი პირი უჩანს, კიდევ დიდხანს იქნება „გრუნტის მეფე“. ესპანელმა ჯადობიჭმა შეინარჩუნა ტიტული და „როლან გაროსული“ ჰეთ თრიქი გააკეთა, რითაც ლეგენდარული ბიორნ ბორგის შემდეგ მეორე ჩოგბურთელად იქცა, ვინც აქ ზედიზედ სამჯერ გამარჯვება მოახერხა. თან არ დაგავიწყდეთ, რომ რაფას პარიზის წითელ თიხაზე ჯერაც არ უგემია მარცხის სიმწარე.

ესპანელს ვერც „დიდი სლემის“ შეგროვების მწველი სურვილით გახელებული როჯერ ფედერერი მოერია. თანამედროვე ჩოგბურთის პირველკაცს ისევ ნადალი გადაეღობა სანუკვარი მიზნისკენ — არადა, გუშინ დიადმა ალპელმა თავის საკადრის, უმაღლეს დონეზე იჩოგნავა. შარშანდელისგან განსხვავებით, ვერავინ იტყვის, „მხიარულ როჯერს“ ნერვებმა უღალატა ან კიდევ ხელები აუკანკალდაო, რადგანაც აშკარად ყველაფერი ჩააქსოვა გუშინდელ ჯახს. მაგრამ არც ამან გაჭრა 21 წლის ესპანელთან, რომელმაც ისევ ოთხი სეტი იკმარა შვეიცარიელის წასაქცევად.

ნადალმა კვლავ თავისი უმთავრესი კოზირის — შესაშური ფიზიკური მომზადების ხარჯზე დაჩაგრა შვეიცარიელი. ესპანელი მისდევდა და ეწეოდა თითქმის ყველა, თითქოსდა უიმედო ბურთებსაც კი და ძალიან მწვავე კონტრშეტევებით წყობიდან გამოჰყავდა დიადი ალპელი. ყველაფერთან ერთად მალიორკელმა სასწაული ბრძოლისუნარიანობა და ეფექტიანობა გამოავლინა — საოცარი ცივსისხლიანობით არაერთხელ შემოატრიალა ლამის წაგებული გეიმები მაშინ, როცა თავისი შანსები ძალიან ფაქიზად გამოიყენა.

ასე განსაჯეთ, ფედერერმა 17 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა, ნადალმა კი 10 შანსიდან 4-ჯერ „გატეხა“ შვეიცარიელი. ყველაფერთან ერთად ესპანელი ჯადობიჭმა გაცილებით ფაქიზად ითამაშა, რადგანაც მეტოქეზე ორჯერ ნაკლები უნებლიე შეცდომა დაუშვა. ბევრი, როცა ფედერერის 60 შეცდომას შეხედავს, იტყვის, მან თამაში თავისით წააგოო, თუმც მთლად ასეც არ იყო საქმე. „მხიარული როჯერის“ ამდენად უჩვეულოდ ბევრი ხარვეზი იმით აიხსნება, რომ მას მუდმივად შეტევაზე და გამწვავებაზე უწევდა თამაში, რადგანაც უკანა ხაზზე დარჩენას ნადალთან არანაირი აზრი არ ჰქონდა. რისკიან თამაშს კი შეცდომები ყოველთვის სდევს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნადალმა დამსახურებულად იმარჯვა. უბრალოდ, უძლეველია ეს კაცი თიხნარზე და რაც გინდა, ილონე, თავს ზემოთ ძალა არ არის. და ეს ჭეშმარიტება მაშინაც მოქმედებს, როცა როჯერ ფედერერი ხარ.

ნადალი თუ „გრუნტის მეფეა“, მაშინ ჟუსტინ ენინი მინიმუმ „გრუნტის დედოფალი“ მაინც არის. ჭინკა ბელგიელმა ზედიზედ მესამედ და კარიერაში მეოთხედ მოიგო „როლან გაროსი“. სამჯერ ზედიზედ კი პარიზულ თიხნარზე ქალთაგან აქამდე მონიკა სელეშის გარდა არავის უმარჯვია.

ბოლო ორი წელი, ბელგიელი მატჩს კი არა, სეტსაც არ აგებს „როლან გაროსზე“ და ამ სერიამ უკვე 35-ს უწია, რაც ყველა დროის აბსოლუტური რეკორდია.

ენინმა ახლაც უნაკლოდ გაიფრინა მთელი ტურნირი, ფინალში კი ანა ივანოვიჩს ისე გაუსწორდა, თითქოს თინეიჯერი სერბი კორტზე არც ყოფილიყოს. ბელგიელმა იმდენად მალე მოამთავრა საქმე, რომ კორტზე დაჯილდოების დროს უფრო მეტი დრო გაატარა, ვიდრე საკუთრივ ფინალის მოგებას მოანდომა.

„უდავოდ დიდი მიღწევაა. კარიერის ადრეულ წლებში ვერც წარმოვიდგენდი, ამდენს თუ შევძლებდი. აქ განსაკუთრებით კარგად გამომდის თამაში,თითქოს მართლა საკუთარ ტერიტორიაზე ვიყო. ეს წარმატება დიდი ნაბიჯია ჩემს ცხოვრებაში“ — განაცხადა ნამატჩევს ენინმა, რომლისთვისაც ეს მეექვსე საკარიერო სლემტიტულია.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

### როლან გაროს-2007-ის ყველა ფინალი

**კაცები** რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია)

**ქალები** ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — ანა ივანოვიჩი (7, სერბეთი) 6:1 6:2

**კაცთა წყვილები** მარკ ნოულზი, დანიელ ნესტორი (6, ბაჰამის კუნძულები, კანადა) — ლუკაშ დლუჰი, პაველ ვიზნერი (9, ორივე ჩეხეთი) 2:6 6:2 6:4

**ქალთა წყვილები** ალისია მოლიკი, მარა სანტანჯელო (17, ავსტრალია, იტალია) — კატარინა სრებოტნიკი, აი სუგიამა (7, სლოვენია, იაპონია) 7:6 6:4

**შერეული წყვილები** ნატალი დეში, ენდი რამი (8, საფრანგეთი, ისრაელი) — კატარინა სრებოტნიკი, ნენად ზიმონიჩი (6, სლოვენია, სერბეთი) 7:5 6:3

**ჭაბუკები** ვლადიმირ იგნატიჩი (12, ბელარუსი) — გრეგ ჯონსი (5, ავსტრალია) 6:3 6:4

**გოგონები** ალის კორნე (2, საფრანგეთი) — მარიანა დუკუ მარინო (კოლუმბია) 4:6 6:1 6:0

**ჭაბუკთა წყვილები** ტომას ფაბიანო, ანდრეი კარაჩენია (იტალია, ბელარუსი) — კელენ დამიკო, ჯონატან იზერიჩი (2, აშშ, საფრანგეთი) 6:4 6:0

**გოგონათა წყვილები** კსენია მილევსკაია, ურსულა რადვანსკა (3, ბელარუსი, პოლონეთი) — სორანა კირსტეა, ალექსა გლეტჩი (რუმინეთი, აშშ) 6:1 6:4

**ვეტერან კაცთა (45 წლამდე) წყვილები** არნო ბეჩი, გი ფორჟე (ორივე საფრანგეთი) — ანრი ლეკონტი, სედრიკ პიოლინი (ორივე საფრანგეთი) 6:3 3:6 1:0 (16:14)

**ვეტერან კაცთა (45 წლის ზევით) წყვილები** ანდერს იარიდი, ჯონ მაკინროი (შვედეთი, აშშ) — ჯონ ფიცჯერალდი, გილერმო ვილასი (ავსტრალია, არგენტინა) 6:1 6:2

# ეროვნულმა დედოფალმა ეროვნულზე თავი ვერ მოგვაწონა

დავით ილარიანი



**ეროვნულ სტადიონზე** საქართველოს მძლეოსანთა ორდღიან ჩემპიონატში, რომელშიც ორ ჯგუფად გაყოფილი ოცამდე გუნდი მონაწილეობდა, როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდურ პირველობაში ყველას თბილისელებმა აჯობეს (671 ქულა), მეორეზე ქუთაისელები გავიდნენ (336,5), მესამე ადგილი კი ახალციხის საკმაოდ პერსპექტიულმა გუნდმა ირგუნა (293).

მეორე ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: წყალტუბო (118), ოზურგეთი (111), ახმეტა (89).

რაც შეეხება პირად პირველობას, აქ ყველაზე დიდი ინტერესით თბილისელების იულია დუბინასა და დავით ილარიანის გამოსვლას ველოდით, რადგან ისინი ახლა უკვე საპეკინო ლიცენზიებისთვის აცხადებენ პრეტენზიას.

მართალია, დუბინამ სიგრძეზე ხტომაში მორიგი ჩემპიონობა მოიპოვა (531სმ) და მთავარმეტოქეს, თანაგუნდელ მაია გოგოლაძეს სოლიდური სხვაობით (20 სანტიმეტრი) მოუგო, მაგრამ გამარჯვებულის შედეგი ბევრიც არაფერია. ამით იმის თქმა გვსურს, რომ დუბინას ერთ-ერთი პრობლემა სათანადო კონკურენციის არქონაცაა. მან თავის ძირითად სახეობაში, სამხტომშიც ისე გაიმარჯვა (12,20), რომ თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა აღარ დასჭირდა.

იგივე უნდა ითქვას დავით ილარიანზეც, მან სიგრძეზე ხტომასა (746) და 110 მეტრზე თარჯრბენში (13,8) იჩემპიონა და მეტოქეებს გამარჯვებისთვის უმცირესი შანსიც არ დაუტოვა.

სხვათაგან თბილისელი დავით ცუცქირიძის გამოყოფა შეიძლება, რომელმაც 100 და 200 მეტრზე რბენაში იმარჯვა (შესაბამისად 11,0 და 21,8).

400 მეტრზე ყველას აჯობა ახალციხელმა ანდრო ზილბერშტეინმა (49,0), ხოლო 1500 მეტზე მისმა ახლო ნათესავმა გიგლა ზილბერშტეინმა იმარჯვა, ორჯერ გრძელ დისტანციაზე კი ბრინჯაოს მედალსაც დაეუფლა (8.49.2)

აღსანიშნავია სალომე რიგიაშვილის (თბილისი) გამოსვლაც, რომელმაც ჩემპიონობა ბირთვის კვრაშიც მოიპოვა და ბადროს ტყორცნაშიც, (შესაბამისად — 11,11 მ და 33,62 მ).

ვაჟებში ბირთვი ყველაზე შორს ოზურგეთელმა მამუკა ტულუშმა ჰკრა (16,18), ხოლო ბადროს ტყორცნაში ასევე ოზურგეთელმა მინდია ერქომაიშვილმა იმარჯვა (43,72).

შუბის ტყორცნაში ჩემპიონი დუშელი როსტომ ჭინჭარაული გახდა, რომელმაც საერთო დონიდან გამომდინარე მართლაც კარგი შედეგი აჩვენა (55,66). თუმცა ეს მისი საუკეთესო მაჩვენებელი არაა. ამ დისციპლინაში ქალთაგან საუკეთესო შედეგი ფოთელ ქეთი ჩაგანავას ჰქონდა (34,34).

ჩემპიონატის ბოლოს კომენტარი მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს მაია აზარაშვილს ვთხოვეთ.

— მინდა გამოვყო დავით ილარიანი, რომელიც ნელ-ნელა უმატებს და მიზანმიმართულად შედის ფორმაში. დიდი იმედი გვაქვს, რომ ის ოლიმპიური ლიცენზიისთვის რეალურად იბრძოლებს, იულია დუბინას შედეგით კი მწვრთნელიც უკმაყოფილო დარჩა და თავად სპორტსმენიც. საერთოდ, დუბინა არასტაბილური სპორტსმენია, მაგრამ ამ ჯერზე მას სხვა პრობლემებიც ჰქონდა...

რაც შეეხება გუნდებს, ახალციხისას გამოვარჩევ. მათ მართლაც კარგი შედეგი აჩვენეს. სხვათა მსგავსად, არც მათ აქვთ კარგი პირობები, მაგრამ სწორი მუშაობითა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ხარჯზე კარგად წარმოაჩინეს თავი.

— ჩემპიონატი ორგანიზაციულად მაღალ დონეზე ჩატარდა. სპორტსმენებს სტადიონზე ყველა პირობა ჰქონდათ, რათა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოევლინათ, რისთვისაც სტადიონის ხელმძღვანელობა მადლობას იმსახურებს — ეს კი ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა *ყარამან საბანაშვილმა* გვითხრა. ჩვენ კი დავსძენთ, რომ სპორტსმენთა დღევანდელი შედეგები სასურველისგან ჯერ ძალზე შორსაა.

**ლევან მაისურაძე**

იულია დუბინა





# მომდევდა და გავიქეცი

## დიქსმა პაუელს ხელთათმანი ესროლა

**მას შემდეგ,** რაც ასაფა პაუელმა ნატკენი ფეხი მოიშუშა და მორბენალთა ამქარის სარბენ ბილიკებზე თავში ჩაუდგა, თანაც ბელგრადში 100 მეტრი 9,97 წამში გაირბინა, დუნია მისი შემყურე და მისგან სასწაულების მომლოდინეა.

ამასობაში კი, ნიშნად იმისა, რომ ნიჭიერი სპრინტერები სხვებიც არიან, ამერიკულ სტუდენტურ შეჯიბრში პაუელის „კუთვნილ" 100 მტერზე სეზონის საყოველთაო რეკორდი დამყარდა. ფლორიდის უნივერსიტეტის სტუდენტმა უოლტერ დიქსმა რამდენიმე დღის წინ ამ ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 200 მეტრი 19,69 წამში გაირბინა, რითაც სეზონის რეკორდი ხომ დაამყარა და ყველა დროის მე-6 შედეგიც აჩვენა.

ახლა კი საკრამენტოში ქვეყნის სტუდენტურ ჩემპიონატში დიქსმა პროფილი შეიცვალა და 200 მეტრი 100-მდე დაამოკლა, მერე კი ფინალში ეს დისტანცია 9,93 წამში გაირბინა და პაუელის სეზონის რეკორდს 0,04 წამით სეკვესტრირება „აკადრა".

დიქსი მერე ამბობდა — „ჩემს გვერდით ბიჭი რომ მორბოდა, ტრინდონ ჰოლიდეი, ვიცოდი, რომ რეკორდი 10,1-ის ფარგლებში ჰქონდა, მაგრამ არ მეგონა, ამდენ წინააღმდეგობას თუ გამოიწვევდა. იმდენად შემაშფოთა წაგების პერსპექტივამ, რომ ქვეცნობიერად, რაღაც სასწაულად ავაჩქარე ფეხი."

100 მეტრის დაპყრობამდე კი დიქსმა ფლორიდის უნივერსიტეტის გუნდს 4X100 მეტრი ესტაფეტა მოაგებინა, თანაც ასევე გადასარევი შედეგით — 38,60 წამით. ასე რომ, ეს ბიჭი მალე მსოფლიოს უსწრაფეს სპრინტერებს შეეტოქება და მათ შორის, ალბათ, ასაფა პაულსსაც, რომლის დამარცხებაც, ეს ბოლო ხანია, ყველას შეუძლებელ ამოცანად უჩანს.

**კოტე ყორშია**

ჭადრაკი



პეტერ ლეკო

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. მეორე ეტაპი

# ლეკო კარო კანში გაძვრა

III ტური

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 (2:1) | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 (2,5:0,5) | ევგენი ბარეევი (რუსეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 0,5:0,5 (2:1) | სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0:1 (1:2) | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

**პეტერ ლეკომ** ევგენი ბარეევს თეთრი ფიგურებით მოუგო და სერიაში 2,5:0,5 დაწინაურდა. ახლა უნგრელს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ერთი ქულაც ჰყოფნის და არა მგონია, მისი მოპოვება გაუჭირდეს.

მესამე პარტიაში ლეკომ კარო კანის დაცვით ითამაშა. მეტოქეებმა აქტიურად დაიწყეს შეხვედრა, ცენტრში ფიგურები გამოყარეს და ერთმანეთს დაერივნენ. მადიარმა ხელმწიფის ფლანგზე გადაიტანა ყურადღება, ლაზიერ-ეტლიც იქ გადასვა და მარცხენა მხრიდან მსუბუქი ფიგურებით წინ წავიდა. პატარ-პატარა დარტყმებით რუსმა რამდენიმე სვლა შეაყოვნა თეთრების არმია, თუმც ბოლოს შეცდომა დაუშვა და 41-ზე დანებება არჩია.

პირველი პარტია მოიგო ბორის გელფანდმა. ებრაელმა დიდოსტატმა გატა კამსკი 58-ე სვლაზე დააშამათა და 2:1 დაწინაურდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეექვსე ეტაპი

# ჰემილტონის მაღალი ტონი

## პოულიც და დიდი პრიზიც




**მონრეალის** ტრასა, მონაკოსგან განსხვავებით, ჩვენს ბოლიდებს უხდება და წარმატების მშვენიერი შანსიც გვაქვსო, ირწმუნებოდნენ ორი კვირის წინანდელი ჩაფლავების შემდეგ „ფერარის" ფერზე მოსული პილოტები. მათი თქმით, მონტე კარლოში „მაკლარენთან" წუთზე მეტით ჩამორჩენა შემთხვევითობა იყო და ამჯერად „ვერცხლისფერი ისრების" დომინირება აღარ გამეორდებოდა.

ვერ გამართლდა სკუდერიელთა პროგნოზი. ლუის ჰემილტონმა და ფერნანდო ალონსომ გამორჩეულად თვალსასეირო საკვალიფიკაციო შეჯიბრი, რომელშიც ვითარება კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა, შთამბეჭდავი დუბლით მოიგეს. მათი ასეთი დაფეთება, განსაკუთრებით 22 წლის ახალბედა ჰემილტონისა, რომელმაც თითქმის წამით აჯობა „წითელ" კონკურენტებს, ნაკლებ საწვავსა და ამდენად, რბოლაში მეტოქეების საგრძნობი სხვაობით ჩამოტოვების შემდეგ ნაადრევ პიტსტოპზე მიანიშნებდა.

შავკანიანმა ინგლისელმა ვუნდერკინდმა თავისი ჯერჯერობით სულ ექვსეტაპიან კარიერაში პირველი პოულ-პოზიცია მოიპოვა და, ბუნებრივია, აღფრთოვანებას ვერ მალავდა:

„ფანტასტიკური დღეა და გუნდის ფანტასტიკური მუშაობის შედეგი. მათ სესიის ბოლოს სწორედ მაშინ გამიყვანეს სწრაფ წრეზე, როცა ტრასა თავისუფალი იყო და პოულიც მოვიპოვე. დამიჯერეთ, ეს ადვილი არაა, როდესაც გუნდში თქვენი პარტნიორი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია — ბედნიერი ვარ! ფინალურ ცდაზე მანქანა იდეალური იყო, საბურავები — სრულყოფილი, სიტყვები არ მყოფნის იმის გამოსახატად, რასაც ახლა ვგრძნობ. რა თქმა უნდა, ყველაფერი რბოლაზეა დამოკიდებული. მთავარია, კარგი სტარტი და რბოლის ბოლომდე სტაბილურობა, მაშინ ყველაფერი გამოვა".

ალონსომ თანაგუნდელთან ნახევარი წამი წააგო, მესამე სასტარტო პოზიციაზე კი მოულოდნელად BMW-ს გერმანელი პილოტი ნიკ ჰაიდფელდი აღმოჩნდა, რომელმაც უმცირესი უპირატესობით აჯობა კიმი რაიკონენსა და ფელიპე მასას.

რბოლამდე ორ დღეში პრობლემები არ მოჰკლებიათ დებიუტანტ ჰეიკი კოვალაინენსა და ვეტერან იარნო ტრულის. ახალბედა ფინელს პარასკევს ვარჯიშისას ავარია შეემთხვა, შაბათს ჯერ ძრავამ უმტყუნა, მერე კი კვალიფიკაციის პირველივე ნაწილში საჭე ვერ დაიმორჩილა და ორმაგ, მარჯვენა-მარცხენა მოსახვევში „რენო" კუდით ბეტონის დამცავ კედელს მიახეთქა. გამსკდარი საბურავითა და მომტვრეული უკანა ფრთით ბოლიდი ძლივს მიბობღდა ბოქსებამდე, სადაც მექანიკოსებმა კი მოასულიერეს, მაგრამ მხოლოდ მე-19 დრო აჩვენა.

უარესი დაემართა ტრულის, რომლის „ტოიოტაზეც" ორჯერ გატყდა დაკიდულობა და გუნდის ხელმძღვანელობა რბოლაში მონაწილეობაზე უარის თქმასაც კი აპირებდა, რათა მძღოლების ჯანმრთელობას საფრთხე არ დამუქრებოდა. მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდა, მიზეზი კატასტროფული არ აღმოჩნდა და იაპონურ საჯინიბოს კანადიდან გუდა-ნაბადი არ აუკრავს. ოღონდ მრბოლები გააფრთხილეს, რომ იმ ავბედით მერვე მოსახვევში მაღალ ბორდიურებს მორიდებოდნენ. კვალიფიკაციაში ტრულიმ არცთუ უხეირო, მეათე შედეგი აჩვენა, ხოლო რალფ შუმახერმა — მხოლოდ მე-18.

იარნო ლეგენდარული მეფორმულის ჟილ ვილნევის სახელობის ტრასაზე ახალი მოხატულობის ჩაფხუტით გამოჩნდა. მან ამგვარად აღნიშნა თავისი უახლოესი მეგობრის, დანილო დი ლუკას გამარჯვება „ჯირო დიტალიის" ველორბოლაში.

არეულ-დარეული და ფათერაკებიანი რბოლა გამოვიდა ლამის მთელი ქარავანისთვის, თავიდანვე წინგაჭრილ ჰემილტონისა და ჰაიდფელდის გარდა. ალონსო დაძვრისთანავე თანაგუნდელის გასწრების ცდისას გზას გადასცდა და მეორე პოზიცია გერმანელს დაუთმო. ჩემპიონს მერე კიდევ ორჯერ შეეშალა და საბოლოოდ ბრძოლა მხოლოდ მეშვიდემ დაასრულა.

რბოლის მსვლელობაზე დიდი გავლენა იქონია უსაფრთხოების „მერსედესის" ოთხჯერ(!) გამოსვლამ. საშინელი ავარია შეემთხვა პოლონელ რობერტ კუბიცას, მისი BMW მოსახვევში ტრასიდან გავარდა და უზარმაზარი სიჩქარით მიეხეთქა ბეტონის ჯებირს, მერე რამდენჯერმე ამოყირავდა და პრაქტიკულად მთლიანად დაიშალა. პილოტი გაჭირვებით ამოიყვანეს კოკპიტიდან და ჰოსპიტალში გააქანეს. საბედნიეროდ, ძალიან მძიმედ არ დაშავებულა, მხოლოდ ფეხი მოიტეხაო.

პეისკარის გამოსვლისას დაკეტილ ბოქსებში სტუმრობის გამო მასა და ფიზიკელა დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

ჰემილტონმა როგორც დაიწყო სალიდერო პოზიციიდან, ასევე მიიჭრა ფინიშთან და ოთხი მეორე და ერთი მესამე ადგილის შემდეგ სადებიუტო სეზონში, უკვე პირველი დიდი პრიზიც მოიგო.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**კანადის დიდი პრიზი**
**10 ივნისი. მონრეალი**
დისტანცია 70 წრე — 305,270 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | ჰემილტონი (მაკლარენი) | 1:44.11,3 (175,1 კმ/სთ) |
| 2. | (3) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | ჩამორჩა 4,3 |
| 3. | (19) | ვურცი (უილიამსი) | 5,3 |
| 4. | (22) | კოვალაინენი (რენო) | 6,7 |
| 5. | (4) | რაიკონენი (ფერარი) | 13,0 |
| 6. | (11) | სატო (სუპერ აგური) | 16,7 |
| 7. | (2) | ალონსო (მაკლარენი) | 21,9 |
| 8. | (18) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | 22,9 |
| 9. | (6) | ვებერი (რედ ბული) | 23,0 |
| 10. | (7) | როსბერგი (უილიამსი) | 24,0 |
| 11. | (17) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 24,3 |
| 12. | (13) | ბარიკელო (ჰონდა) | 30,4 |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (10) | ტრული (ტოიოტა) | გაიარა 58 წრე |
| (12) | ლიუცი (ტორო როსო) | 55 |
| (9) | ფიზიკელა (რენო) | 52 |
| (5) | მასა (ფერარი) | 52 |
| (21) | ალბერსი (სპაიკერი) | 49 |
| (14) | კულთარდი (რედ ბული) | 35 |
| (8) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 27 |
| (20) | სუტილი (სპაიკერი) | 22 |
| (16) | სპიდი (ტორო როსო) | 9 |
| (15) | ბატონი (ჰონდა) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ჰემილტონი 1.15,707 (207,4 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
ალონსო 1.16,367 (205,6 კმ/სთ)

### Formula 1

| | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | გერმანია 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | ■ 10 | | | | | | | | | | | | 48 |
| 2 ალონსო (მაკლარენი, ესპანეთი) | 8 | 10 | 4 | 6 | ■ 10 | 2 | | | | | | | | | | | | 40 |
| 3 მასა (ფერარი, ბრაზილია) | 3 | ■ 4 | ■ 10 | ■ 10 | 6 | – | | | | | | | | | | | | 33 |
| 4 რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | ■ 10 | 6 | 6 | – | 1 | 4 | | | | | | | | | | | | 27 |
| 5 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 5 | 5 | 5 | – | 3 | 8 | | | | | | | | | | | | 26 |
| 6 ფიზიკელა (რენო, იტალია) | 4 | 3 | 1 | – | 5 | – | | | | | | | | | | | | 13 |
| 7 კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | – | – | 3 | 5 | 4 | – | | | | | | | | | | | | 12 |
| 8 ვურცი (უილიამსი, ავსტრია) | – | – | – | – | 2 | 6 | | | | | | | | | | | | 8 |
| 9 კოვალაინენი (რენო, ფინეთი) | – | 1 | – | 2 | – | 5 | | | | | | | | | | | | 8 |
| 10 როსბერგი (უილიამსი, გერმანია) | 2 | – | – | 3 | – | – | | | | | | | | | | | | 5 |

კულთარდი — 4, ტრული — 4, სატო — 4, შუმახერი — 2 ქულა

■ პოულ-პოზიცია

### კონსტრუქტორთა თასი

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენი | 14 | 18 | 12 | 14 | 18 | 12 | | | | | | | | | | | | 88 |
| 2 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | 4 | | | | | | | | | | | | 60 |
| 3 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 8 | | | | | | | | | | | | 38 |
| 4 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | 5 | | | | | | | | | | | | 21 |
| 5 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | 6 | | | | | | | | | | | | 13 |

ტოიოტა — 6, რედ ბული — 4, სუპერ აგური — 4

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 2.15 | 2.90 | 3.30 | 1.23 | 1.30 | 1.54 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 157 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 59 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 4.20 | 3.40 | 1.80 | 1.87 | 1.25 | 1.17 |
| 21:00 | 60 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 2.40 | 3.30 | 2.70 | 1.38 | 1.27 | 1.48 |
| 21:00 | 61 | ტრელებორგი-გეფლე | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 62 | იურგორდენი-გიოტებორგი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 22:00 | 63 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 64 | გაის-ელფსბორგი | 3.70 | 3.40 | 1.95 | 1.77 | 1.27 | 1.23 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 71 | იონკოპინგი-იოსტერსი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 21:00 | 72 | სირიუსი-ლანდსკრონა | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 73 | იორგრიტე-ფალკენბერი | 1.60 | 3.70 | 5.20 | 1.11 | 1.22 | 2.16 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 82 | ვპს-ოულუ | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| 22:45 | 142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 5.80 | 3.50 | 1.52 | 2.18 | 1.20 | 1.05 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10059 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 4.60 | 2.10 | 2.25 | 1.44 | 1.51 | 1.08 |
| 10060 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 2.80 | 2.10 | 3.20 | 1.20 | 1.49 | 1.26 |
| 10061 | ტრელებორგი-გეფლე | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |
| 10062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 2.60 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.51 | 1.29 |
| 10064 | გაის-ელფსბორგი | 4.15 | 2.10 | 2.35 | 1.39 | 1.50 | 1.10 |
| 10071 | იონკოპინგი-იოსტერსი | 3.10 | 2.00 | 2.75 | 1.21 | 1.45 | 1.15 |
| 10072 | სირიუსი-ლანდსკრონა | 2.35 | 2.00 | 3.85 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 2.05 | 2.20 | 5.60 | 1.06 | 1.50 | 1.57 |
| 10082 | ვპს-ოულუ | 2.65 | 2.00 | 3.40 | 1.13 | 1.48 | 1.25 |
| 10141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 5.20 | 2.20 | 2.05 | 1.54 | 1.47 | 1.06 |
| 10142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 6.25 | 2.10 | 1.85 | 1.57 | 1.42 | 1.00 |
| 10156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 2.55 | 1.90 | 3.80 | 1.08 | 1.52 | 1.26 |
| 10157 | სტარტი-სანდეფიორდი | 2.15 | 2.10 | 5.30 | 1.06 | 1.52 | 1.50 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11059 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11060 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11061 | ტრელებორგი-გეფლე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11064 | გაის-ელფსბორგი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11071 | იონკოპინგი-იოსტერსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11072 | სირიუსი-ლანდსკრონა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11082 | ვპს-ოულუ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11157 | სტარტი-სანდეფიორდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12059 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 12060 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.70 | 1.90 |
| 12061 | ტრელებორგი-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 12062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 12063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12064 | გაის-ელფსბორგი | 1.90 | 1.70 |
| 12071 | იონკოპინგი-იოსტერსი | 1.90 | 1.70 |
| 12072 | სირიუსი-ლანდსკრონა | 1.90 | 1.70 |
| 12073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.90 | 1.70 |
| 12082 | ვპს-ოულუ | 1.90 | 1.70 |
| 12141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 1.90 | 1.70 |
| 12142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 1.70 | 1.90 |
| 12156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 1.60 | 2.00 |
| 12157 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13059 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 13060 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.70 | 1.90 |
| 13061 | ტრელებორგი-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 13062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.70 | 1.90 |
| 13063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13064 | გაის-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13071 | იონკოპინგი-იოსტერსი | 1.70 | 1.90 |
| 13072 | სირიუსი-ლანდსკრონა | 1.70 | 1.90 |
| 13073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13082 | ვპს-ოულუ | 1.70 | 1.90 |
| 13141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 1.90 | 1.70 |
| 13142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 1.90 | 1.70 |
| 13156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 1.70 | 1.90 |
| 13157 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14059 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 2.30 | 1.65 |
| 14060 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 14061 | ტრელებორგი-გეფლე | 1.80 | 2.00 |
| 14062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.75 | 2.10 |
| 14063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.75 | 2.10 |
| 14064 | გაის-ელფსბორგი | 2.20 | 1.70 |
| 14071 | იონკოპინგი-იოსტერსი | 2.00 | 1.80 |
| 14072 | სირიუსი-ლანდსკრონა | 1.70 | 2.20 |
| 14073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.30 | 2.50 |
| 14082 | ვპს-ოულუ | 1.80 | 2.00 |
| 14141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 2.50 | 1.30 |
| 14142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 2.50 | 1.30 |
| 14156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 1.75 | 2.10 |
| 14157 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15059 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15060 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | ტრელებორგი-გეფლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15064 | გაის-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | იონკოპინგი-იოსტერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | სირიუსი-ლანდსკრონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ვპს-ოულუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | სტარტი-სანდეფიორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16059 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 2.90 | 1.32 |
| 16060 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.70 | 1.95 |
| 16061 | ტრელებორგი-გეფლე | 1.55 | 2.20 |
| 16062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.52 | 2.20 |
| 16063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.52 | 2.20 |
| 16064 | გაის-ელფსბორგი | 2.45 | 1.40 |
| 16071 | იონკოპინგი-იოსტერსი | 1.82 | 1.82 |
| 16072 | სირიუსი-ლანდსკრონა | 1.34 | 2.80 |
| 16073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.22 | 3.40 |
| 16082 | ვპს-ოულუ | 1.55 | 2.20 |
| 16141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 3.30 | 1.25 |
| 16142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 3.60 | 1.23 |
| 16156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 1.52 | 2.20 |
| 16157 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.24 | 3.60 |

### გოლი:წყვილი-1ლუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17059 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17060 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17061 | ტრელებორგი-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17062 | იურგორდენი-გიოტებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17063 | კალმარი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17064 | გაის-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | იონკოპინგი-იოსტერსი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | სირიუსი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |
| 17073 | იორგრიტე-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ვპს-ოულუ | 1.85 | 1.95 |
| 17141 | ჩეხეთი (21)-ინგლისი (21) | 1.85 | 1.95 |
| 17142 | სერბეთი(21)-იტალია(21) | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ზენიტი-ლოკომოტივი მ | 1.85 | 1.95 |
| 17157 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**






# სანამ ანრი ჩამოვა, ჯილარდინო დარჩა

## ანჩელოტიმ, ფრანგი გაძნელდებაო

**ტიერი ანრის** ბოლო პერიოდში სულ „მილანთან" ერთად ახსენებენ. თავად ფრანგმა ფორვარდმაც თქვა, „როსონერის" ინტერესი მსიამოვნებს და არაფერს გამოვრიცხავო, მაგრამ... „შავ-წითლების" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ აღნიშნა, „არსენალის" თავდამსხმელი ერთადერთი არ არის, ვისაც „მილანი" ეპატიჟებაო.

„ანრი ბრწყინვალე ფორვარდია, მაგრამ იგი ერთადერთი არ არის, ვინც გვაინტერესებს. სხვა კარგი თავდამსხმელებიც არიან. თანაც, ტიერის „არსენალთან" ხანგრძლივი კონტრაქტი აკავშირებს და მისი შეძენა ცოტა ძნელი იქნება" — თქვა ანჩელოტიმ.

„მილანი" ფორვარდს კი ეძებს და, წესით, ეს ახალი თავდამსხმელი ალბერტო ჯილარდინოს შემცვლელი უნდა ყოფილიყო (ჯილა წასვლაზე ფიქრობდა და „როსონერიც" მის ტრანსფერზე დაყენებას და დაახლოებით 30 მილიონ ევროდ შეფასებას აპირებდა), მაგრამ, როგორც ჩანს, მხარეებმა ყველაფერი გაარკვიეს და „პარმას" ექსფორვარდი „სან სიროზე" დარჩება.

„გაურკვევლობას ადგილი აღარ აქვს. ყველაფერზე ვილაპარაკეთ, ორივე მხარეს გვსურს თანამშრომლობის გაგრძელება" — თქვა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

ალბერტო ჯილარდინო: „ძალიან მიხარია, რომ ეს შეხვედრა შედგა და ყველაფერი გაირკვა. „მილანი" ჩემთვის ბევრს ნიშნავს და აქ დარჩენა, რაც შეიძლება, დიდხანს მინდა. ყოველთვის ასე ვფიქრობდი და პრესასაც დაახლოებით ეს ვუთხარი. უბრალოდ, ჟურნალისტებმა ჩემი სიტყვები არასწორად გაიგეს და გადაასხვაფერეს. ბედნიერი ვარ იმით, რომ თანაგუნდელებმა მხარი დამიჭირეს და დარჩენა მთხოვეს. მათ შორის, ფილიპო ინძაგიმაც, ვინც ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის ჩემი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტია. მან თბილი სიტყვები მითხრა და რამდენიმე კარგი რჩევა მომცა, რაც ძალიან მესიამოვნა" — განაცხადა ჯილარდინომ.

**გიორგი ძაძამაძე**

# ზე მოვიდა და წავიდა

## ბაიერნის მეხუთე შენაძენი



**მიუნხენის** „ბაიერნიდან" ბრაზილიურ „სანტოსში" შარშან წასული ზე რობერტო გერმანულ კლუბში დაბრუნდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა — ის „ბაიერნის" მეხუთე შენაძენია.

აქამდე მიუნხენელებმა იყიდეს მარსელ იანსენი, იან შლაუდრაფი, ფრანკ რიბერი და ლუკა ტონი.

32 წლის ზე რობერტომ კი სანაკრებო კარიერის დასრულებაზეც განაცხადა: „ჩემი დრო დამთავრდა. გზა ახალგაზრდებს უნდა დავუთმოთ".

ბრაზილიელმა ეროვნულ გუნდში 86 მატჩი ითამაშა და 6 გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლორან ბლანი: საუკეთესო მწვრთნელი ისაა, ვინც...




**მსოფლიოს** ჩემპიონი ლორან ბლანი „ბორდოს" მწვრთნელად დანიშნეს — 41 წლის ფრანგმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან ბრაზილიელი რიკარდო შეცვალა, ვინც „მონაკოში" გადავიდა.

„მე მსურს, რომ ჩემს ხელში „ბორდო" ახალ სიმაღლეზე ავიდეს — თქვა ბლანმა — ძალიან მინდა, გუნდის ძირითადი ფეხბურთელების შენარჩუნება და ამას ყველანაირად ვეცდები".

მცველს ნაკრებში 97-ჯერ უთამაშია, კლუბებიდან კი იგი „ბარსელონას", „მარსელის", „ინტერის", „მანჩესტერისა" და „ნაპოლის" ღირსებას იცავდა. ბლანმა განაცხადა, რომ უკვე ნერვიულობდა, რადგან მწვრთნელობას არავინ სთავაზობდა, უფეხბურთოდ ცხოვრება კი არ შეეძლო.

„როცა ესა თუ ის კლუბი გამოჩნდებოდა, ყველა ჩემს გამოუცდელობაზე მიანიშნებდა — აღნიშნა ნაკრების ყოფილმა მცველმა, ვისი ფაბიენ ბარტეზის თავზე კოცნაც რიტუალად იქცა — რა თქმა უნდა, გამოუცდელი კაცი არავის სჭირდება, მაგრამ იმავდროულად უარი მაღიზიანებდა. ჩემთვის იდეალური მწვრთნელი ისაა, ვინც ფეხბურთელებისგან მაქსიმუმს გამოწურავს და რთული ვითარებიდან მათ გამოყვანას შეძლებს, ასეთებად კი მარჩელო ლიპი და ალექს ფერგიუსონი მიმაჩნია".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ზიდანი რომ კალდერონი იყოს...

მე რომ „რეალის" პრეზიდენტი ვიყო, დევიდ ბექჰემი კლუბიდან არ წავიდოდა, უთქვამს ზინედინ ზიდანს.

„არ ვიცი, რა მოხდება ბოლო ტურში — განაცხადა ზიდანმა — მაგრამ, ვფიქრობ, „რეალს" კარგი საჩემპიონო შანსი აქვს. ძალიან მინდა, რომ გუნდი ჩემპიონი გახდეს. უპირველესად, დევიდ ბექჰემის გამო. ოთხი წელი გაატარა „რეალში" და ოქროთი ხელდამშვენებული იმსახურებს წასვლას. მის გვერდით თამაში უდიდესი სიამოვნება იყო. მე რომ რამონ კალდერონის ადგილზე ვიყო, ბექჰემს უეჭველად შევინარჩუნებდი. რაკი ინგლისელმა „ლოს ანჯელეს გალაქსიში" გადასვლა არჩია, მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ და წარმატება ვუსურვოთ."

# ჩხუბის მცდელობა სევილიაში

**„ბეტისმა"** გუშინწინ შინ 0:5 წააგო „ოსასუნასთან", სევილიური კლუბის განრისხებულმა ქომაგებმა კი ფეხბურთელების ცემა დააპირეს.

72-ე წუთზე, როცა ოსასუნელმა ვალდომ მესამე გოლი შეაგდო, გულშემატკივრებმა მოედანზე შევარდნა სცადეს, მაგრამ პოლიციამ დროულად გადაუკეტა გზა.

ნამატჩევს განრისხებულმა ფანებმა სტადიონის გარეთ არეულობა მოაწყვეს და პოლიციელებმა რეზინის ტყვიებიც კი ისროლეს მათ დასაშოშმინებლად.

# ბექჰემი ინგლისის სახეა

**„დეილი ტელეგრაფის"** ცნობით, ინგლისი მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძლობას აპირებს და სარეკლამოდ დევიდ ბექჰემს გამოიყენებს.

„რეალის" ნახევარმცველისთვის ეს საქმე ახალი არაა, მეტწილად, სწორედ მისით მოიგო ინგლისმა 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება.

# მარადონა კოპას გახსნის

**„კოპა ამერიკა"** 26 ივნისს იწყება. ტურნირს პირველად უმასპინძლებს ვენესუელა.

ორგანიზატორების განცხადებით, „კოპა ამერიკას" გახსნაში მონაწილეობას მიიღებს დიეგო მარადონა, რომელიც ამ გაზაფხულს სხვადასხვა კლინიკებში მკურნალობდა და ახლა თავს უკეთ გრძნობს.

ტურნირი 15 ივლისს დასრულდება.

# კიას შავ-ლურჯი საუბარი

**კარლოს ტევესის** ყიდვა „ინტერსაც" უნდა. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, კია ჯურაბჩიანი, ვინც არგენტინელი ფორვარდის კონტრაქტის წილშია, ინტერელთა შეფებს შეხვდა და სავარაუდო ტრანსფერზე ესაუბრა.

ტევესს ლონდონურ „ვესტ ჰემთან" ხელშეკრულება 2010 წლამდე აქვს.

# ვესტერმანის ხუმრობა

**ბილეფელდის** „არმინიას" ცენტრალური მცველი ჰაიკო ვესტერმანი „შალკეში" გადავიდა. „ხუმარებმა" მის სანაცვლოდ, დაახლოებით 3 მილიონი ევრო გადაიხადეს, კონტრაქტი კი ოთხწლიანია.

„ძალიან გვიხარია ვესტერმანის შეძენა, რადგან მას უკვე დიდი ხანია, ვაკვირდებოდით და დარწმუნებული ვარ, უფრო უკეთესი ფეხბურთელი გახდება" — თქვა კლუბის მენეჯერმა ანდრეას მიულერმა.

# ფალკონე მუქთად პარმაში

**„სამპდორიას"** მცველი ჯულიო ფალკონე „პარმამ" გადაიბირა. ფალკონეს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და პარმელებს უფასოდ ერგო. 33 წლის მცველს იტალიის ნაკრების მაისურა ერთხელ მოურგია, კონტრაქტი კი ორი წლით გააფორმა.

მას „ტორინოში", „ფიორენტინასა" და „ბოლონიაში" უთამაშია.

# მარქარიანის ასული

**პარაგვაის** ნაკრების ყოფილი თავკაცი სერხიო მარქარიანი მექსიკური „კრუზ ასულის" მწვრთნელად დანიშნეს. 62 წლის ურუგვაელმა ისააკ მიზრახი შეცვალა, რომელიც ერთი კვირის წინ გაათავისუფლეს.

მარქარიანს ადრე პარაგვაულ „ოლიმპიაში", „სოლ დე ამერიკასა" და „სერო პორტენოში" უმუშავია. გარდა ამისა, პერუს „უნივერსიტარიო" მისი თავკაცობით 1997 წელს ლიბერტადორესის თასის ფინალში გავიდა. იგი ასევე ხელმძღვანელობდა „იონიკოსსა" და „პანათინაიკოსს" საბერძნეთში.

# ჰანცის პირველი ჯოკიჩია

**სლოვენიის** ნაკრების მცველი ბოიან ჯოკიჩი „ნოვა გორიცადან" ფრანგულ „სოშოში" გადავიდა.

„ეს ტრანსფერი ჩემს კარიერაში წინგადადგმული ნაბიჯია" — თქვა 21 წლის ფეხბურთელმა.

ჯოკიჩი პირველი შენაძენია კლუბისა, რომელსაც ახალი მწვრთნელი ჰყავს — ფრედერიკ ჰანცი, რომელმაც „ლიონში" წასული ალენ პერენი შეცვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## არასრული არგენტინა

**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელმა ალფიო ბასილემ „კოპა ამერიკაზე“ წასაყვან ფეხბურთელთა არასრული შემადგენლობა დაასახელა, სრული კი 21 ივნისს გამოცხადდება.

ათი გამოძახებულიდან ცხრა ევროპულ კლუბებში თამაშობს: ნიკოლას ბურდისო, ერნან კრესპო, ესტებან კამბიასო, ხავიერ ძანეტი (ყველა „ინტერი“), გაბრიელ ჰაინცე („მანჩესტერი“), ხავიერ პინოლა („ნიურნბერგი“), ლუჩო გონსალესი („პორტუ“), ხავიერ მასკერანო („ლივერპული“), კარლოს ტევესი („ვესტ ჰემი“), ხუან სებასტიან ვერონი („ესტუდიანტესი“).

## მილიტო ტურინისკენ იწევს

**ესპანური** AS-ის ცნობით, „სარაგოსას“ არგენტინელ მცველ გაბრიელ მილიტოს „იუვენტუსში“ გადასვლა სურს. ფეხბურთელმა ერთ-ერთ მწვრთნელს, აგაპიტო იგლესიასს განუცხადა, რომ ტურინულ კლუბში თამაში ძალიან უნდა და უკვე წასვლაც გადაუწყვეტია.

„სარაგოსა“ არგენტინელს 11 მილიონ ევროდ აფასებს.

## უნიკალური სნეიდერი

**„აიაქსის“** მწვრთნელმა ჰენკ ტენ კატმა უესლი სნეიდერის გაყიდვა გადაიფიქრა, რადგან ფეხბურთელის მსურველი „ვალენსია“ ამსტერდამული კლუბის მიერ მოთხოვნილ თანხას არ იხდის.

„სნეიდერის როლი „აიაქსში“ უნიკალურია. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან დარჩება, რადგან „ვალენსიისგან“ ახალი არაფერი ისმის“ — განაცხადა ტენ კატმა.

## ეკვადორი შარშანდელების გარეშე

**ეკვადორის** ნაკრების ფეხბურთელები, ივან კავიედესი და აუგუსტინ დელგადო „კოპა ამერიკისთვის“ ეროვნულ გუნდში არ გამოიძახეს. კავიედესმა კოლუმბიასთან მატჩში მიიღო ტრავმა და ჯერ არ გამოკეთებულა, დელგადოს კი სათამაშო პრაქტიკა აკლია.

შეგახსენებთ, რომ ეს ორი ფორვარდი შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე ძირითად შემადგენლობაში იყო.

## ქირავდება ტევესი

**„მანჩესტერმა“** „ვესტ ჰემს“ ოფიციალურად მიმართა კარლოს ტევესის თაობაზე. ალექს ფერგიუსონის გუნდს არგენტინელი ფორვარდის დაქირავება სურს. მოლაპარაკების სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

**გაჟა ხუციშვილი**

# ოქროს ვარსკვლავი

**FIFA.COM-ში ერთი საინტერესო არქივია: ინტერვიუები მსოფლიოს ჩემპიონებთან. ამ არქივში მრავალი დიდი ფეხბურთელის ნაუბარს იპოვით. ზოგი შედარებით ვრცელია, ზოგიც მოკლე. ახლა, როდესაც ევროპაში სეზონი დასრულდა და ფეხბურთით მშიერ ხალხს ცინცხალი ამბები მოგვაკლდა, ვფიქრობთ, სივრცისა და დროის ამ ინტერვიუებით შევსება ორმაგად საინტერესო იქნება. ჰოდა, დღეს პირველს გთავაზობთ კიდეც — მსოფლიოს ჩემპიონატების სამი ფინალის მონაწილე ბრაზილიელ კაფუსთან, რომელსაც სინამდვილეში მარკუშ ევანჯელისტა დე მორაეში ჰქვია, კაფუს კი იმიტომ ეძახიან, რომ „ფლუმინენსეს“ მარჯვენა ფრთაზე ოდესღაც მავანი კაფურინგა თამაშობდა...**



## მე შენ მიყვარხარ, რეჟინა!

**— თქვენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბრძანდებით. ამ სამი ტრიუმფიდან რომელია ყველაზე ძვირფასი?**

— უყოყმანოდ შემიძლია გიპასუხოთ, რომ ყველაზე მეტად 2002 წლის ჩემპიონობა გამიხარდა, რადგან ამ შეჯიბრზე ბრაზილიის ნაკრებს ვკაპიტნობდი და წინა ორთან შედარებით სულ სხვა პასუხისმგებლობა მეკისრა.

**— 1994 წელს, აშშ-ში, ფინალში ტრავმირებული ჟორჟინიო შეცვალეთ, რამაც, ალბათ, დიდი გამოცდილება შეგძინათ. შემდგომ მუნდიალებზე თუ გამოგადგათ იმ დღეს მიღებული შთაბეჭდილება?**

— ბუნებრივია, ჟორჟინიოს კალიბრის ფეხბურთელის მაგივრად თამაში, თან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და თან იტალიის ნაკრების წინააღმდეგ, იოლი საქმე არ გახლდათ. სავსებით მართალი ბრძანდებით იმაშიც, რომ იმ დღეს უდიდესი გამოცდილება შევიძინე, მაგრამ აქ გადამწყვეტი აი, რა გახლდათ: ჩვენი გუნდი ყველაფრისთვის იყო მზად. პირადად მე ვიმედოვნებდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემი წილი შესაძლებლობა მომეცემოდა და მადლობა ღმერთს, ამ დღეს ღირსეულად რომ შევხვდი.

**— იმ ფინალში თქვენი მონაწილეობა რაიმეთი ხომ არ იყო განსაკუთრებული? თქვენ ხომ, ფაქტობრივად, წინ ითამაშეთ. რამე ხომ არ გახსენდებათ?**

— არა, განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. ზოგადად, ბევრი რამ კი მოხდა, მაგრამ ასე საგანგებოდ არაფერი მაგონდება.

**— და 1998 წლის ფინალიდან?**

— მაშინდლიდან გონებაში ერთი ეპიზოდი ჩამებეჭდა: რონალდო ფრანგების მეკარეს რომ შეასკდა და დაეცა. იმ დღეს ხომ ჩვენ ყველანი მისი ჯანმრთელობის გამო ვნერვიულობდით.

**— 2002 წელს კი ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი გახდით, თუმცა, კაცმა რომ თქვას, შემთხვევით, რადგან ჩემპიონატის წინ ემერსონი დაშავდა. როგორ ფიქრობთ, რა თვისებების გამო დაგასახელეს კაპიტნად და რამდენად მზად იყავით ამ დიდი როლისთვის?**

— რა თქმა უნდა მზად ვიყავი, რის დასამტკიცებლად იმის გახსენებაც კმარა, რომ ემერსონამდე ნაკრები მოედანზე სწორედ მე გამყავდა. ერთი სიტყვით, ამ როლისთვის განსაკუთრებული მზადება ნამდვილად არ მჭირდებოდა. ვიმეორებ, ნაკრების კაპიტნობა უდიდესი პასუხისმგებლობა იყო, მაგრამ მზად ვიყავი, რადგან მთელი შესარჩევი შეჯიბრის განმავლობაში „სელესაოს“ კაპიტანი გახლდით, შესარჩევში კაპიტნობა კი რთული საქმეა. ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ყველაფერი უფრო ადვილი მეჩვენა.

**— თქვენი გამოცდილებით ახალგაზრდა ბრაზილიელებისთვის, ალბათ, გზის გამანათებელი ლამპიონივით იყავით. როგორი ურთიერთობები იყო გუნდში: გასახდელში, ვარჯიშებზე, მოედანზე?**

— ურთიერთობების დახასიათება ერთი სიტყვით შეიძლება — საუცხოო. ჩვენს გუნდში იყვნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები, მაგრამ მათ უკვე დიდი გამოცდილება უმაგრებდათ ზურგს. მეტიც, ისინი უკვე ტიტულოვანნი იყვნენ, უმეტესად ბრაზილიის გარეთ თამაშობდნენ და თავიანთ კლუბებში მოწინავე პოზიციები ეკავათ. ერთი სიტყვით, ჩვენი ამოცანა მათთვის კარგი გარემოს შექმნა და შემდეგ მოედანზე ლაზათიანი ბურთაობისთვის გაყვანა გახლდათ, ეს საქმე კი მათ ჩინებულად ეხერხებოდათ.

**— 2002 წლის მეოთხედფინალში, ინგლისის წინააღმდეგ, მოედნიდან რონალდინიო გააძევეს. ალბათ, სწორედ მაშინ დაგჭირდათ კაპიტნისა და ლიდერის ხასიათის გამოვლენა...**

— რა თქმა უნდა, ასე იყო. სხვათა შორის, რონალდინიო მეტად რთულ დროს გააძევეს, მაგრამ, საბედნიეროდ, ანგარიში უკვე ჩვენს სასარგებლოდ გვქონდა შემოტრიალებული და ყველაფერ იმის გათვალისწინებით, რაც მოედანზე ნამდე მოხდა — ანგარიში, როგორი გოლები გავიდა, როგორ ვითამაშეთ და სხვა — შინაგანად გვწამდა, რომ ინგლისი თამაშის სასწორს თავის სასარგებლოდ ველარ გადახრიდა. რონალდინიოს გაძევების მომენტიდან ჩვენ გაათმაგებული ენერგიით ვიბრძოლეთ და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანეთ.

**— იმ შეხვედრაში რონალდინიომ საჯარიმო დარტყმით საოცარი გოლიც გაიტანა. სანამ დაარტყამდა, მასთან თქვენ იდექით. თქვენ დაანახეთ, მეკარე დევიდ სიმენი წინ რომ იყო გამოსული?**

— ინგლისელთა მეკარე ნიადაგ წინ იდგა, ასე რომ, რონალდინიო სწორად მოიქცა, ბურთი შესაბამისი ტრაექტორიით რომ დაარტყა. რასაკვირველია, ასე მოზომილად დარტყმას იღბალიც უნდა, თან მეკარეც ბედად ველარ შეწვდა ბურთს, მაგრამ რონალდინიო ქების ღირსი რომ არის, ფაქტია.

**— რაც შეეხება ფინალს, გერმანიასთან თამაშის დროს თქვენ, ყველანი საკუთარ თავში საოცრად დარწმუნებულნი ჩანდით. გამარჯვება მაინც და მაინც თქვენ რომ დაგრჩებოდათ, ასე გჯეროდათ?**

— დიახ, სამ ფინალში მითამაშია და ასეთი გაწონასწორებული გუნდი არ მინახავს. ჩვენ ყველამ ზუსტად ვიცოდით, რა უნდა გვეკეთებინა და რა ხდებოდა. ვიცოდით, რომ ეს თამაში ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერებოდა და აბსოლუტურად აუღელვებლად მივუდექით საქმეს.



**— თამაში რომ დამთავრდა, თქვენ, როგორც კაპიტანმა, ბუნებრივია, იცოდით, რომ ბრაზილიელთა შორის თასს პირველი აღმართავდით. იმ წუთებში თქვენ ამოისუნთქეთ და მეუღლეს სიყვარული აუხსენით. როგორ მოგივიდათ ასეთი მშვენიერი რამ თავში?**

— ეს წამის ამბავი გახლდათ. შესაძლოა, რაღაც ხმა ან ბგერა გავიგე, რამაც რეჟინა გამახსენა. იმ მომენტისთვის ჩვენ 20 წლის ცოლ-ქმარი ვიყავით. ის კარიერის პირველი დღეებიდან ჩემს გვერდით იდგა. რეჟინა ყველაფრის მოწმეა. ჩვენ ცხოვრებამ ერთად გაგვზარდა; ერთად გამოვედით ღატაკთა უბნიდან, სადაც უამრავი უსასოო, მაგრამ საოცრად ჭკვიანი ადამიანი დაგვრჩა. ამ ხალხს დახმარება სჭირდება და მეც მინდოდა, სიყვარულის ახსნით ყველასთვის მიმენიშნებინა, რომ რაც უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ ამ ადამიანებს, მით მეტ „კაფუს“ გაუზრდიან ისინი სანაცვლოდ.

**— ახლა, გთხოვთ, ისევ 1994 წელი გაიხსენოთ, როდესაც მსოფლიოს თასს ხელით პირველად შეეხეთ. რა გრძნობა დაგეუფლათ მაშინ?**

— ეს ნამდვილი ტრილერი იყო. მაშინ პირველად გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი. არ ვიცი, ვტიროდი თუ ვიცინოდი. თავდაკარგული ვყვიროდი. ეს გახლდათ მოხდილი მოვალეობის, დიდი წარმატების, შესრულებული სამუშაოს საუცხოო შეგრძნება. წამს, როდესაც მსოფლიოს თასს აღმართავ, არაფერი შეედრება.

**— და რა იგრძენით 2002 წელს? სიხარულის ისეთივე მძაფრი გრძნობა დაგეუფლათ თუ ეს ყველაფერი ძველ მეგობართან სასიამოვნო შეხვედრას ჰგავდა?**

— ზუსტად. მაშინ ძველ მეგობართან შეხვედრის სიხარულმა შემიპყრო. ზემოთაც ხომ მოგახსენეთ, რომ ჩემთვის ეს ფრიად ემოციური შემთხვევა იყო, რადგან მე კაპიტანი გახლდით. მგონი, ფეხბურთელისთვის, მწვრთნელისთვის თუ გუნდის ნებისმიერი სხვა თანამშრომლისთვის არ არსებობს მსოფლიოს ჩემპიონობაზე დიდი მიღწევა. ეს კარიერის მწვერვალია.

**— მაშ, გმადლობთ სტუმრობისთვის და ინებეთ... ჩვენ ერთხელაც გაძლევთ ამ თასის ხელში დაჭერის შესაძლებლობას. ახლა, როდესაც თასი ისევ ხელთ გიპყრიათ, ალბათ მას შედევრად აღიქვამთ, არა?**

— რა თქმა უნდა, ის ხელოვნების ნიმუშია და ეს ამბავი ყველაზე კარგად ბრაზილიელებმა იციან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რობერტ კოვაჩი წავიდა, დავიდ ტრეზეგე მიდის





# როგორი იქნება რანიერის იუვე?

**ხორვატმა** მცველმა რობერტ კოვაჩმა ტურინის „იუვენტუსი" დატოვა. მან ზაგრების „დინამოსთან" სამწლიანი კონტრაქტი უკვე შეათანხმა და გავრცელებული ცნობით, სეზონში დაახლოებით 2 მილიონ ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ კოვაჩი „ბიანკონერიში" 2005 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა, მაგრამ ტურინელთა ძირითად შემადგენლობაში ვერა და ვერ დამკვიდრდა.

დიდი შანსია, „ბებერი ქალბატონი" დატოვონ ფრანგმა თავდამსხმელმა დავიდ ტრეზეგემ და მცველმა ფედერიკო ბალძარეტიმაც.

თუ პირველის საქმე ჯერაც გაურკვეველია, მეორის წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია — „იუვეს" ხელმძღვანელობამ ბალძარეტის განუცხადა, აღარ გვჭირდებიო.

25 წლის ბალძარეტის მსურველი უმალ გამოუჩნდა — ფლორენციის „ფიორენტინა". გავრცელებული ცნობით, „იებს" მისთვის სამწლიანი კონტრაქტი აქვთ მზად და მალე ტრანსფერი ოფიციალურად გაფორმდება. ბალძარეტიმ უკვე განაცხადა, თუ „იუვეს" აღარ ვჭირდები, „ფიორენტინა" იდეალური ვარიანტიაო.

რაც შეეხება ტრეზეგეს, კლუბთან მის კონტრაქტს ვადა მომავალ ზაფხულს გასდის, გახანგრძლივებაზე კი ჯერ არაფერი ისმის. გამოცდილ ფრანგ ფორვარდს მრავალი მსურველი ჰყავს, „ინტერის" თამადობით. ადრე მის შეძენას „ვალენსია", „მილანი", „ბარსელონა", „მანჩესტერ იუნაიტედი" და სხვებიც ლამობდნენ.

ტრეზეგეს შემცვლელად კი „იუვენტუსს" კლაას-იან ჰუნტელაარი ჰყავს შეგულებული, რომელსაც ამსტერდამის „აიაქსის" დატოვება და უფრო ძლიერ გუნდში გადასვლა სურს. „ბიანკონერი" ნიჭიერ ფორვარდს ადრეც ეპატიჟებოდა და ახლა ისევ მიუბრუნდა, რადგან შეიძლება, სხვებთან შედარებით იაფი დაუჯდეს.

ტურინელები ერთ ნახევარმცველსაც ეძებენ. ეს კლუბის ახალმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმაც ითხოვა, რადგან „რეალში" წასული ემერსონის შემცვლელი „იუვეში" ჯერაც არ გამოჩენილა. კანდიდატი ლონდონის „არსენალის" ბრაზილიელი ჟილბერტო სილვაა.

იტალიური პრესის ცნობით, რამდენიმე დღეში ოფიციალურად გაცხადდება, რომ „იუვენტუსში" უდინეზელი ვინჩენცო იაკინტა და ემპოლელი სერხიო ალმირონი გადავლენ.

„ერთ ან მაქსიმუმ ორ კვირაში ჩვენ ნამდვილად იტალიელ ჩემპიონს დავიმატებთ" — ეს „იუვეს" პრეზიდენტ ჯოვანი კობოლი ჯილის სიტყვებია, რომლებიც, სავარაუდოდ, იაკინტას ეხება.

რაც შეეხება ალმირონს, „ემპოლის" არგენტინელი ვარსკვლავით „ინტერი" და „მილანიც" იყვნენ დაინტერესებულნი, თუმცა, როგორც ჩანს, „ბიანკონერიმ" ნიჭიერი ნახევარმცველისთვის ბრძოლაში ყველას აჯობა. ამბობენ, მის ნაცვლად „იუვე" ტოსკანელებს გარკვეული თანხის გადახდის გარდა, მატეო პაროს, სებასტიან ჯოვინკოსა და რეი ვოლპატოს ათხოვებსო.

გუშინ „სპეციასთან" თამაშის მერე კი „იუვენტუსი" დატოვა ჯანკარლო კორადინიმ, ვინც დიდიე დეშანის შემცვლელი გახლდათ სეზონის ბოლო ორ მატჩში.

**გიორგი ძაძამაძე**

# დელ ნერი ვირიდან ჩამოხტა



**ბერგამოს** „ატალანტას" ახალი მწვრთნელი ლუიჯი დელ ნერი იქნება. გავრცელებული ცნობით, კონტრაქტი ორწლიანია, გახანგრძლივების პერსპექტივით.

56 წლის ტაქტიკოსმა „პალერმოში" წასული სტეფანო კოლანტუონო შეცვალა.

დელ ნერი ბოლოს „კიევოს" წვრთნიდა, მაგრამ „მფრინავი ვირების" სერია A-ში დატოვება ვერ შეძლო. მიუხედავად ამისა, იგი მზად იყო, ვერონელებს სერია B-შიც ჩაჰყოლოდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობას ახალ კონტრაქტზე ვერ შეუთანხმდა.

„ლუიჯი დელ ნერისთან შეთანხმება უკვე მიღწეულია. კონტრაქტი ოფიციალურად ორშაბათს ან სამშაბათს გაფორმდება" — ნათქვამია „ატალანტას" ოფიციალურ განცხადებაში.

„კიევოს" გარდა, დელ ნერის „პარტინიკაში", „ტერამოში", „რავენაში", „ნოვარაში", „ნოჩერინაში", „ტერნანაში", „პორტუში", „რომასა" და „პალერმოში" უმუშავია.

**კოკი ძანძელაძი**

## ნაბიჯი ბაზელიდან დორტმუნდში

**ხორვატიის** ნაკრების ფორვარდი მლადენ პეტრიჩი შვეიცარიული „ბაზელიდან" გერმანულ „დორტმუნდში" გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„მოხარული ვარ „დორტმუნდში" გადასვლით, რადგან ბუნდესლიგა ახალი გამოწვევაა და ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩემს კარიერაში" — თქვა 26 წლის თავდამსხმელმა.

პეტრიჩის სანაცვლოდ „შავ-ყვითლებმა" 3 მილიონ 500 ათასი ევრო გადაიხადეს. მან „ბაზელში" 25 მატჩში 19 გოლი გაიტანა და გასულ სეზონში შვეიცარიის თასი მოიგო.

ხორვატი მეგოლე ადრე „გრასჰოპერში" თამაშობდა და 2003-ში ჩემპიონი გახდა.

## ორი წლის სოლანო გაიხსენეს

**პერუს** ნაკრების მწვრთნელმა ხულიო სეზარ ურიბემ განაცხადა, რომ „კოპა ამერიკისთვის" გამოიძახებს „ნიუკასლის" ნახევარმცველ ნოლბერტო სოლანოს, ვისაც ეროვნულ გუნდში ორ წელზე მეტია, არ უთამაშია.

სოლანოს არაერთხელ გაუკრიტიკებია ნაკრებისა თუ ფედერაციის თავკაცობა. ერთი თვის წინ ფედერაციის პრეზიდენტ ბურგეს პოსტიდან წასვლაც კი ურჩია.

ურიბემ თქვა, რომ სოლანოს დარი ფეხბურთელების დაკარგვას არ აპირებს.

„ნოლბერტოს მომავალ კვირაში შევხვდები და გავესაუბრები. მოვიდა დრო მის დასაბრუნებლად. სოლანო „კოპა ამერიკაზეც" გვჭირდება და მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც" — აღნიშნა მწვრთნელმა.

## დინამო გენკოვით შეუტევს

**მოსკოვის** „დინამომ" გუშინ ოფიციალურად დაადასტურა ცვეტან გენკოვის ტრანსფერი. სოფიის „ლოკომოტივის" ფორვარდი რუსული კლუბის წევრი 1 ივლისიდან გახდება. მისი კონტრაქტი ოთხწელიწადნახევრიანია.

გენკოვი ბულგარეთის ბოლო ჩემპიონატის მთავრმეგოლეა.

## კუმანი დაიჭირეს

**„ივნინგ ნიუსის"** ცნობით, „მანჩესტერ სიტის" სავარაუდო მწვრთნელთა სიაში არიან: ხუანდე რამოსი, სვენ გორან ერიკსონი და რონალდ კუმანი.

რამოსის „სევილიამ" ზედიზედ ორჯერ მოიგო უეფას თასი. 52 წლის მწვრთნელს არაერთხელ გამოუთქვამს პრემიერლიგაში მუშაობის სურვილი, ანდალუზიურ კლუბთან კონტრაქტი კი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება.

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცი ერიკსონი უმუშევარია, ხოლო კუმანი პსვ-შია.

„სიტის" სტადიონის თანამშრომლებს ჰოლანდიელი ამას წინათ მანჩესტერში უნახავთ და ამბობენ, რომ ყველაზე რეალური კანდიდატი ისაა.

## ვენგერის დასტური

**„თაიმსთან"** ინტერვიუში არსენ ვენგერმა დაადასტურა, რომ მომავალ სეზონშიც „არსენალში" იქნება. დარჩებიან თუ არა ტიერი ანრი და ფრანსესკ ფაბრეგასი, ამის შესახებ ფრანგმა მწვრთნელმა არაფერი თქვა.

— „არსენალთან" კონტრაქტი 2008 წლის ივნისში მიმთავრდება — აღნიშნა ვენგერმა — მომავალ ზაფხულში კი კლუბის შეფებთან ახალ ხელშეკრულებაზე ვისაუბრებ.

ვენგერი უკვე 11 წელია, „მეთოფეებში" მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში სამჯერ პრემიერლიგა, ოთხჯერ კი ასოციაციის თასი მოიგო. შარშან ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა და „ბარსელონასთან" 1:2 დამარცხდა.

## აბიდალმა ბარსა მოითხოვა

**„ბარსელონა"** და „ლიონი" ერიკ აბიდალის თაობაზე მოლაპარაკებას უახლოეს დღეებში განაახლებენ. ფრანგებმა უარი უთხრეს „ბარსას" 9 მილიონ ევროზე, რადგან მარცხენა მცველს 20 მილიონად აფასებენ.

„ეკიპის" ცნობით, კატალონიური კლუბი ვაჭრობას გააგრძელებს, მით უმეტეს, პარასკევს თვითონ აბიდალს უთხოვია „ლიონის" შეფებისთვის, „ბარსელონაში" გამყიდეთო.

ფრანგული კლუბის პრესმდივანმა ოლივიე ბლანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება განახლდება. „ბარსა" და „ლიონი", სავარაუდოდ, 14 მილიონზე მორიგდებიან.

## ვან გაალი კოლეგებმა აღიარეს

**მიუხედავად იმისა,** რომ „ალკმაარი" ჩემპიონი ვერ გახდა, ლუის ვან გაალი ჰოლანდიაში გასული სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

„ეს ჯილდო ჩემთვის ძალიან დიდი პატივია — თქვა ლუის ვან გაალმა — წესით, საუკეთესოდ უნდა ეღიარებინათ ის, ვინც რამე მოიგო, მაგრამ რაკი ჩემმა კოლეგებმა მე დამასახელეს, მადლობის მეტი რა მეთქმის".

**გაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა











ესპანურ პრიმერას რომ ცეცხლი უკიდია, ახლა ეს უკვე ფეხბურთში ნაკლებად ჩახედულებსაც მოეხსენებათ. შაბათს ბარსელონაში, სარაგოსასა და მალიორკაში თავიდან საქმეები ისე მიდიოდა, თითქოს საამსეზონო ლა ლიგა „ბარსას" უნდა დარჩენოდა. თუმცა სიტუაცია მატჩების ბოლო წუთებზე შეიცვალა — „რეალმა" „სარაგოსასთან" მარცხს დააღწია თავი, რაულ ტამუდომ კი თანაქალაქელ „ბარსას" [illegible] ბრა და ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად ისევ „სამეფო კლუბი" [illegible]ტოვა.

მოკლედ, ყველაფერი ბოლო ტურში გაირკვევა, ჩვენ კი „კამპ ნოუზე" და „ლა რომარედაზე" ჯახის მონაწილეთა ინტერვიუებს გთავაზობთ...

# წარმოუდგენელი წარმოდგენა

## რაულ ტამუდო: ლა ლიგა არავისთვის მიჩუქნია

— „ბარსელონას" მოგება და, ალბათ, დაგვეთანხმებით, ესპანეთის ჩემპიონობა ხელიდან წაჰგლიჯეთ. მადრიდში ამბობენ, რომ ლა ლიგის ოქრო ტამუდომ „რეალს" გადაულოცა...

— ტამუდო მოედანზე თავის საქმეს აკეთებს, ეს არის და ეს. დღეს ჩემი საქმე შესანიშნავად გავაკეთე, გუნდს ქულა მოვუტანე და „კამპ ნოუდან" დაუმარცხებელნი მოვდივართ. ლა ლიგა კი არავისთვის მიჩუქნია — ჩემპიონობის მაძიებლებმა ტიტულისთვის თავად უნდა იბრძოლონ.

— რას იტყოდით „ბარსასთან" შეხვედრაზე?

— დიდი მატჩი იყო, ორივე გუნდმა შესანიშნავად ითამაშა. ეს შეხვედრა დაუვიწყართა კატეგორიას მიეკუთვნება.

— „ესპანიოლის" შემადგენლობაში უკვე 112 გოლი გაიტანეთ და ახლა „თეთრ-ცისფერთა" ისტორიული მთავარმეგოლე ხართ...

— რეკორდის დამყარება ადრეც ძალიან მინდოდა, მაგრამ „კამპ ნოუზე" გოლის გატანას მაინც თავისებური ხიბლი აქვს... მესის მიერ ხელით შეგდებული გოლის მერე შოკში ვიყავით და ჩვენს ფანობას ანგარიშის გათანაბრება ორმაგად გაუხარდა.

— თქვენი გუნდის თამაშზე რას ფიქრობთ?

— მგონი, ვერავინ უარყოფს იმას, რომ „ბარსას" თანაბრად ვეთამაშეთ. ის შედეგიც, რაც საბოლოოდ ტაბლოზე დაფიქსირდა, სრულიად სამართლიანია.

— „ესპანიოლი" უკვე 25 წელია, თანაქალაქელ მეტოქეს „კამპ ნოუზე" ვერ ამარცხებს. დღესაც ასე მოხდა...

— მნიშვნელოვან ფრეს მივაღწიეთ, თუმცა, ცხადია, მოგებაზე უარს არასდროს ვიტყვით. ამ სტადიონზე „ესპანიოლს" უიღბლო პერიოდი მეტისმეტად გაუგრძელდა, ასე რომ, სამომავლოდ ოდენ მოგებაზე ვითამაშებთ. მინდა, ჩემი გუნდისთვის კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი გოლი გავიტანო...

## ფრანკ რაიკარდი: რაც შენი არ არის, იმას ვერ გასცემ

— როგორია თქვენი გუნდის განწყობა მას შემდეგ, რაც მატჩის ბოლო წუთზე სიტუაცია ისევ „რეალის" სასარგებლოდ შეიცვალა?

— თამაშის ბოლოს ასეთი გოლის გაშვება ჩვენთვის მძიმე დარტყმა იყო. დაკარგული შანსის გამო ვწუხვართ, თუმცა გუნდმა ეს უნდა გადახარშოს და ჩვეულებრივ სამუშაო სტილს დაუბრუნდეს.

— თქვენს შეგირდებზე დერბისწინა დაძაბულობამ იმოქმედა?

— თამაში ნერვიულად დავიწყეთ, თუმცა შემდეგ სიტუაციის გამოსწორება შევძელით. ჩვენთვის მესამე გოლის გატანა არც ისე ძნელი იყო, თუმცა ეს მეტოქემ მოახერხა და არა „ბარსელონამ"...

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ ლა ლიგის ჩემპიონობა „რეალს" ჩააბარეთ?

— არ ჩაგვიბარებია, რადგან, რაც შენი არ არის, იმას ვერ გასცემ. თუმცა გალიდერების შანსი კი ნამდვილად გავუშვით ხელიდან.

## ფაბიო კაპელო: მონდომება, ვაჟკაცობა და მეომარი სული...

— ადვილი წარმოსადგენია, რაც გადაიტანა „რეალის" მწვრთნელმა „ლა რომარედას" მატჩის დროს. გვიამბეთ თქვენი შთაბეჭდილებების შესახებ...

— ვფიქრობ, ეს განსაკუთრებული ტური გახლდათ, ყველა ლიდერმა ფრე ითამაშა და ჩვენ კმაყოფილები ვართ. გათანაბრების შესაძლებლობა მოგვეცა და ეს გამოვიყენეთ კიდეც. იკერ კასილიასმაც ურთულესი დარტყმები მოიგერია... ამ დღეს „სარაგოსა" მართლაც ძალიან სახიფათო იყო...

— და „რეალი"?

— როგორც გითხარით, თამაში მაღალი დონის გუნდთან მოგვიხდა. პირველ ტაიმში უწესრიგოდ ვთამაშობდით, მეორე ტაიმში კი „რეალი" გამოსწორდა — მონდომებამ, ვაჟკაცობამ და მეომარმა სულმა თავისი გაიტანეს.

— „ბარსას" თამაშსაც ადევნებდით თვალყურს?

— სხვა მატჩების რეპორტაჟებს არ ვუსმენდი, მთლიანად ჩვენს თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული. თუმცა არ დაგიმალავთ და, როცა დანარჩენი მატჩების შედეგები გავიგე, თავი ბედნიერად ვიგრძენი.

— ისევ ვან ნისტელროიმ გაიტანა...

— საგოლე ალღო ფეხბურთელთან ერთად იბადება. ალღო აქვს რაულს, ასევე რუუდ ვან ნისტელროის... ჰოლანდიელი გოლზე ისე დაიგეშა, რომ საკმარისია, მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდეს და...

— და ჰაერში ჩემპიონობის სუნი ტრიალებს?

— ჯერ არა. წინ კიდევ ერთი მატჩია დარჩენილი, თუმცა სავარჯიშოდ და ძალების აღსადგენად დრო საკმარისად გვაქვს.

— ფეხბურთელები რას ამბობენ „მალიორკასთან" მომავალი თამაშის თაობაზე?

— როგორც მე, ისე ყველა ჩემი ფეხბურთელი ბედნიერია და სულაც არ გვინდა, ეს გრძნობა გაგვიცუდდეს.

## იკერ კასილიასი: ახლა სიფრთხილეა საჭირო

— „ლა რომარედადან" ოდენ ქულა წამოიღეთ, თუმცა ნაკლებად მოსალოდნელია, უკმაყოფილო იყოთ...

— ისევ ჩვენს შედეგზე ვართ დამოკიდებულნი — წინ კიდევ ერთი ტური დაგვრჩა. „მალიორკა" მოგებისთვის ყველაფერს გააკეთებს, მაგრამ მინდორზე გამარჯვებულის მენტალიტეტით გავალთ და ვეცდებით, სამი ქულა „რეალს" დარჩეს. ახლა ყველაზე მეტად სიფრთხილეა საჭირო. ნებისმიერ გუნდს შეუძლია, უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზოს — ნახეთ, „ესპანიოლმა" „ბარსასთან" რა გააკეთა?!

— შუა სეზონში ვინმეს რომ ეთქვა, ჩემპიონატის ბოლოს „რეალი" ოქროს მედლების მოსაპოვებლად მარტო საკუთარ შედეგზე იქნება დამოკიდებულიო, დაიჯერებდით?

— ამ სეზონში მართლა ბევრი ვიწვალეთ და ასეთი შანსის განიავება დანაშაული იქნება. „რეალი" ტიტულს ნამდვილად იმსახურებს.

— დამსახურებით კი, მაგრამ ხალხი უკვე ამბობს, რომ „ბარსამ" „რეალს" ტიტული ხონჩით მიართვა...

— ჯერ კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს — ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ. „რეალის" გულშემატკივრებმა იმდენი იმედგაცრუება გამოიარეს, რომ გულს მარტო საჩემპიონო სიხარული თუ გავუმრთელებთ. კვირას კი „მალიორკასთან" მატჩს, როგორც სიკვდილ-სიცოცხლის მატჩს, ისე შევხედავთ.

— მადრიდში ინჩასებმა სიბელესის შადრევანთან უკვე გამართეს მცირე ფიესტა, არადა, ლა ლიგა ჯერ არ მოგიგიათ...

— ვისურვებდი, მალე ყველას ერთად გრანდიოზული ზეიმი მოგვეწყოს სიბელესის შადრევანთან. თუმცა ჯერ საჩემპიონო მარათონი არ დასრულებულა.

— როგორ გაიგეთ, რომ „ესპანიოლმა" „კამპ ნოუზე" ანგარიში გაათანაბრა?

— „ესპანიოლის" გოლების შესახებ სარაგოსაში წამოსული მადრიდელი გულშემატკივრების ყიჟინით ვხვდებოდი...

— „რეალში" როგორი სიტუაციაა?

— ყველანი გახარებულები ვართ, თუმცა სიფრთხილის გრძნობა არ დაგვიკარგავს — საჩემპიონოდ კიდევ ერთი თამაშის მოგებაა საჭირო, რომელიც „ბერნაბეუზე", ჩვენს სახლში გაიმართება...

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი
### XXXVII ტური

**სარაგოსა 2:2 რეალი**

1:0 დ. მილიტო (31პ), 1:1 ვან ნისტელროი (56), 2:1 დ. მილიტო (64), 2:2 ვან ნისტელროი (89)
სარაგოსა: სესარი, საპატერი, სერხიო ფერნანდესი, გ. მილიტო, ერერო, დალესანდრო, პიკე, სელადესი (ლაფიტა 78), აიმარი, ევერტონი (მოვილია 56), დ. მილიტო (ოსკარი 85)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, ელგერა, რ. კარლოსი, დიარა, ემერსონი (გუტი 46), ბექემი, რობინიო (რეიესი 64), რაული (იგუაინი 46), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: პიკე, სერხიო ფერნანდესი, მოვილია, ელგერა, რამოსი, დიარა
მსაჯი: უნდიანო მალენკო
34 500 მაყურებელი

**ბარსელონა 2:2 ესპანიოლი**

0:1 ტამუდო (30), 1:1, 2:1 მესი (43, 57), 2:2 ტამუდო (90)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, ტურამი, ვან ბრონკჰორსტი (ოლეგერი 46), ინიესტა, ხავი, დეკუ, გუდიონსენი (მოტა 77), მესი, ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ესპანიოლი: კამენი, ლაკრუსი, ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, მოიზესი (ანხელი 61), კორომინასი (ჟონატასი 64), რიერა (რუფეტე 72), დე ლა პენია, ლუის გარსია, ტამუდო
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: დე ლა პენია, ვან ბრონკჰორსტი, ლუის გარსია, ტამუდო, დეკუ, მოიზესი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
90 695 მაყურებელი

**მალიორკა 0:0 სევილია**

მალიორკა: მოია, ექტორი, ნუნიესი, ბალესტეროსი, ფ. ნავარო, ვარელა (ტრეხო 70), პერეირა, იბაგასა, ხონასი, არანგო (ტუნი 88), კასადესუსი (მაქსი ლოპესი 66)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
სევილია: პალოპი, ჰინკელი (მარესკა 46), ხავი ნავარო (ჩევანტონი 56), დრაგუტინოვიჩი, პუერტა, დანი ალვეში, პოულსენი, მარტი, რენატო, ლუიშ ფაბიანო, ადრიანუ (ესკუდე 9)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: დრაგუტინოვიჩი, იბაგასა, ექტორი, ხავი ნავარო, დრაგუტინოვიჩი, პალოპი, დანი ალვეში, ლუიშ ფაბიანო
გაძევება: დრაგუტინოვიჩი (73)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
18 000 მაყურებელი

**ლევანტე 4:2 ვალენსია**

1:0 რიგა (3), 2:0 სალვა (11), 2:1 ხოაკინი (16), 3:1 რიგა (49), 4:1 კურტუა (75), 4:2 ბარახა (88)
ლევანტე: მოლინა, დესკარგა (მანოლო 72), სერანო, ალექსისი, რუბიალესი, ეტიენი (კურტუა 60), ბერსონი (კამაჩო 78), ტომაზი, კაპო, რიგა, სალვა
მწვრთნელი: აბელ რესინო
ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი (ბუტელე 11), ალბიოლი, აიალა, დელ ორნო, ხოაკინი, ალბელდა, მარჩენა, დ. სილვა (ბარახა 68), ანგულო (გავილანი 46), ვილია
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: კაპო, ალექსისი, კამაჩო, კაპო, მარჩენა, დელ ორნო, ვილია, მარჩენა
გაძევება: კანისარესი (8), კაპო (46), აიალა (53), მარჩენა (57)
მსაჯი: კლოს გომესი
24 052 მაყურებელი

**ატლეტიკო 2:3 სელტა**

1:0 მაქსი როდრიგესი (27), 1:1 ბაიანო (30პ), 1:2 იაგო (47), 1:3 ბაიანო (67), 2:3 მაქსი როდრიგესი (70)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, სეიტარიდისი (აგერო 55), პაბლო (პერეა 77), ელერი, ა. ლოპესი, გალეტი, ლუქსენი, მანიშე (გაბი 84), პეტროვი, მაქსი როდრიგესი, ფ. ტორესი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
სელტა: პინტო, ანხელი, ლეკი, კონტრერასი, პლასენტე (იაგო 34), პაბლო გარსია, ოუბინია, გუსტავო ლოპესი (ნუნიესი 78), კანობიო (ვილა 88), ნენე, ფ. ბაიანო
მწვრთნელი: ხრისტო სტოიჩკოვი
გაფრთხილება: პაბლო, პეტროვი, ლეკი, კონტრერასი, ბაიანო, პაბლო გარსია, ანხელი

# აი, რატომ არის ფეხბურთი მაგარი

გაძევება: ლუქსენი (64)
მსაჯი: პერეს ბურული
45 000 მაყურებელი

**ხეტაფე 0:1 ხიმნასტიკი**

0:1 იზურზუნი (78)
ხეტაფე: აბონდანსიერი (ლუის გარსია 65), კონტრა (კორტესი 46), ბელენგერი, პულიდო, პარედესი, მარიო კოტელო, კასკერო, სელესტინი, ალბინი (რედონდო 46), მანუ, პაჩონი
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
ხიმნასტიკი: რუბენ პერესი, სეზარ ნავასი, გ. კალვო, მატელანი, მარკო, ხენერელო (შაბო 82), მორალესი, ხუან დიასი, მერინო (პინილია 77), იზურზუნი, რუბენ კასტრო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: კასკერო, მარიო კოტელო
მსაჯი: აიზა გამესი
8 000 მაყურებელი

**დეპორტივო 2:5 უელვა**

0:1 ჩელი (16), 0:2 ხავი გერერო (18), 0:3, 0:4 კაზორლა (58, 69), 1:4 ბოდიპო (71), 1:5 სინამა-პონიოლი (75), 2:5 ხუან როდრიგესი (80პ)
დეპორტივო: ავატი, კოლოჩინი, ჟ. ანდრადე, ლოპო, კაპდევილა (ფილიპე 80), პაბლო ალვარესი, სერხიო (ვერდიუ 46), ხუან როდრიგესი, კრისტიანი, რიკი (ბოდიპო 53), ადრიანი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
უელვა: ლაკაიტი, იაგო (ოლივეირა 81), ბეტუ, არზუ, პოლი, ჩელი, აიტორი, ხესუს ვასკესი, კაზორლა, ხავი გერერო (სინამა-პონიოლი 63), უჩე
მწვრთნელი: მარსელინო გარსია ტორალი
გაფრთხილება: კრისტიანი, კაპდევილა
მსაჯი: ლიზონდო კორტესი
7 000 მაყურებელი

**ვილიარეალი 3:1 ბილბაო**

0:1 ირაოლა (21), 1:1, 2:1 ფორლანი (36პ, 38), 3:1 უსტარიცი (51ს.კ.)
ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტა, არუაბარენა, ფუენტესი, ხოსე ენრიკე, ხოსიკო (სომოსა 68), ტაკინარდი, გ. ფრანკო (მატი ფერნანდესი 75), ჩანი, პირესი (გონსალო 87), ფორლანი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ბილბაო: არანსუბია, ხავი გონსალესი, უსტარიცი, სარიეგი, კასასი (ტიკო 73), ირაოლა, ხავი მარტინესი (ურსაისი 59), მურილიო, იესტე, ადურიცი (ლორენტე 75), ეჩებერია
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ტაკინარდი, ხოსე ენრიკე, უსტარიცი
მსაჯი: რამირეს დომინგესი
22 000 მაყურებელი

**ბეტისი 0:5 ოსასუნა**

0:1 ფლანიო (32პ), 0:2, 0:3 ვებო (62, 72), 0:4, 0:5 სოლა (75, 88)
ბეტისი: კონტრერასი, მიგელ ანხელი, მელი, ხუანიტო, ისიდორო, ხუანდე, ასუნსაო, ოდონკორი, სობისი (ხისკო 77), ფერნანდო (ედუ 52), რობერტი (დანი 70)
მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი
ოსასუნა: ელია, ისკიერდო, კუელიარი, მ. ფლანიო, მონრეალი, ხუანფრანი, რაულ გარსია (ექტორ ფონტი 63), მუნიოსი, ვალდო (ხოსეჩო 85), ვებო (სოლა 70)
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
გაფრთხილება: კუელიარი, მონრეალი, მიგელ ანხელი, ხუანდე
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
35 000 მაყურებელი

**სოსიედადი 0:0 რასინგი**

სოსიედადი: რიესგო, ლოპეს რეკარტე, პ. ლოპესი, ანსოტეგი, ხერარდო, გარიტანო, ხუანიტო (მიკელ ალონსო 66), სავიო, ესტრადა (ნოვო 75), კოვაჩევიჩი, დე სერიო (ერერა 66)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
რასინგი: კალატაიუდი, პ. ფერნანდესი, ალფარო, რუბენი, პინილიოსი, სერანო, კოლსა, ტომაში (ვიტოლო 78), პ. ალვარესი (ფელიპე მელო 63), მუნიტისი, ხუანხო (ბალბოა 75)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ პორტუგალი
გაფრთხილება: კოვაჩევიჩი, დე სერიო, ფერნანდესი, რუბენი, ტომაში, ალფარო, ბალბოა, მუნიტისი, პინილიოსი
გაძევება: ფელიპე მელო (86), ვიტოლო (89)
მსაჯი: ალვარეს ისკიერდო
23 348 მაყურებელი



ამ წუთისთვის ყველაფერი ისე იყო, როგორც ლეო „მარადონა“ მესის და ბარსელონელებს სურდათ...



**მართლაც და,** რატომ არის ფეხბურთი მაგარი? ეჭვი გვაქვს, ამ კითხვას უამრავი პასუხი აქვს, მაგრამ ყველას ხომ ვერ ჩამოვთვლით? ამიტომ ასე ვუპასუხებთ: შაბათს ესპანეთში ასეთი თამაშები რომ ჩატარდა, თუნდაც მაგის გამო.

და რა მოხდა შაბათს ესპანეთში?

მოხდა ის, რომ „რეალს“ პრაქტიკულად ჩემპიონობის გაფორმება შეეძლო და ვერ მოახერხა.

ის, რომ „ბარსელონასაც“ შეეძლო ჩემპიონობის პრაქტიკულად გაფორმება და ვერც მან მოახერხა.

ის, რომ „სევილიას“ იმ ორთან გასწორება შეეძლო და ვერც მან მოახერხა.

არადა, ინტრიგის ამბავში განსაკუთრებით მომხიბვლელი „სევილიას“ მოგება იქნებოდა. ლიდერთა სამეული ქულებით გათანაბრდებოდა, რის მერეც ურთიერთშეხვედრებს დაითვლიდნენ და აღმოჩნდებოდა, რომ „ბარსელონა“ უგებს „სევილიას“; „სევილია“ უგებს „რეალს“; „რეალი“ უგებს „ბარსელონას“.

მოკლედ, სეირი მერე გენახათ...

–ლეო მესი — „ხეტაფესთან“ სათასო მატჩის მერე ამ ბიჭს ისე უქიჟინეს, ახალი მარადონა ხარო, მგონი, დაიჯერა. ჰოდა, თუ დაიჯერა, რა გასაკვირია, შაბათს კატალონიურ დერბიში მესიმ „ღმერთის ხელით“ რომ გაუტანა „ესპანიოლს“.

გაუტანა, მაგრამ ვერ უშველა — შევარდა „ბარსას“ საჯარიმოში ბოლო წუთზე რაულ ტამუდო და, ვაი, შენს „ბარსას“!

ისე, როგორი საქმეა: ბოლოსწინა წუთამდე „ბარსელონა“ იგებდა, „რეალი“ კი სარაგოსაში მარცხდებოდა და... თუ ოდესმე ბედის ბორბლის წაღმა-უკუღმა ტრიალზე ჩამოვარდება სიტყვა, 9 ივნისის ესპანური საღამო შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ.

„რეალმა“ კი, ვინ მოთვლის, მერამდენე თამაში გადაარჩინა ბოლო წუთებზე გასროლით. ამ შაბათის ბოლო გასროლა, „სარაგოსას“ რომ დაუმიზნეს და სინამდვილეში „ბარსელონას“ რომ მოხვდა, რუუდ ვან ნისტელროისა იყო.

„სევილია“ კი... არა, „სევილიას“ მალიორკული ფრე სულაც არ იყო ისეთი დრამატული, როგორიც „რეალისა“ და „ბარსელონასი“, მაგრამ სათქმელი აქაც არის — სევილიელებს შეუძლიათ, ბედს დაემდურონ: ალექსანდრ კერჟაკოვი და ფრედერიკ კანუტი ნაკრებებში დაშავდნენ, ხესუს ნავასი თამაშისწინა ვარჯიშზე დაიმტვრა, ჰოდა, ეს სამი ლიდერი რომ ჰყოლოდათ, ვინ იცის...

მე-10, 53-ე და 57-ე — ეს სანტიაგო კანისარესის, რობერტო აიალას და კარლოს მარჩენას გაძევებათა წუთებია, სამივენი კი უიღბლო „ვალენსიას“ ფეხბურთელები არიან და ვინ იტყვის, რომ „ლევანტესა“ და „ვალენსიას“ მატჩი დრამატული არ იყო...

და ყოველივე ამის შემხედვარე, არ ეთქვათ, რომ ფეხბურთი თავისი მოულოდნელობებითა და ბედის ჩარხის ტრიალით ძალიან მაგარი რამეა?!

შაბათსვე „რეალის“ სარეზერვო გუნდი სეგუნდა დივიზიონიდან გავარდა, თუმცა ეს ამბავი, ჩვენთვის ნაკლებ საინტერესოა...

**ბოტე ბეჟელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 37 | 22 | 7 | 8 | 63:39 | 73 |
| ბარსელონა | 37 | 21 | 10 | 6 | 73:32 | 73 |
| სევილია | 37 | 21 | 8 | 8 | 64:34 | 71 |
| ვალენსია | 37 | 20 | 5 | 12 | 54:39 | 65 |
| სარაგოსა | 37 | 16 | 11 | 10 | 54:42 | 59 |
| ვილიარეალი | 37 | 17 | 8 | 12 | 47:44 | 59 |
| ატლეტიკო | 37 | 16 | 9 | 12 | 44:38 | 57 |
| უელვა | 37 | 15 | 8 | 14 | 53:51 | 53 |
| ხეტაფე | 37 | 14 | 10 | 13 | 38:31 | 52 |
| რასინგი | 37 | 12 | 14 | 11 | 42:46 | 50 |
| მალიორკა | 37 | 14 | 7 | 16 | 40:44 | 49 |
| ესპანიოლი | 37 | 12 | 13 | 12 | 45:50 | 49 |
| ოსასუნა | 37 | 13 | 7 | 17 | 50:47 | 46 |
| დეპორტივო | 37 | 11 | 11 | 15 | 29:44 | 44 |
| ლევანტე | 37 | 10 | 12 | 15 | 37:51 | 42 |
| ბეტისი | 37 | 7 | 16 | 14 | 34:49 | 37 |
| ბილბაო | 37 | 9 | 10 | 18 | 42:62 | 37 |
| სელტა | 37 | 9 | 9 | 19 | 38:58 | 36 |
| სოსიედადი | 37 | 8 | 10 | 19 | 29:44 | 34 |
| ხიმნასტიკი | 37 | 7 | 7 | 23 | 33:64 | 28 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (რეალი) | 25 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 21 |
| კანუტი (სევილია) | 21 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 20 |
| ფორლანი (ვილიარეალი) | 19 |
| ვილია (ვალენსია) | 15 |

### XXXVIII ტური

17 ივნისი

ვალენსია : სოსიედადი
ბილბაო : ლევანტე
სევილია : ვილიარეალი
რეალი : მალიორკა
უელვა : სარაგოსა
ესპანიოლი : დეპორტივო
ხიმნასტიკი : ბარსელონა
სელტა : ხეტაფე
ოსასუნა : ატლეტიკო
რასინგი : ბეტისი

### სეგუნდადივიზიონი
### XLI ტური

რეალი B — ალმერია 3:1; ლორკა — ალავესი 1:2; მალაგა — კადისი 1:1; სიუდად მურსია — ლას პალმასი 4:2; ელჩე — კასტელიონი 1:0; ვესინდარიო — მურსია 1:1; პოლი ეხიდო — სპორტინგი 4:1; ტენერიფე — სალამანკა 1:0; პონფერადინა — ერკულესი 4:1; ხერესი — ნუმანსია 1:1; ვალიადოლიდი — ალბასეტე 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 41 | 25 | 10 | 6 | 68:34 | 85 |
| ალმერია | 41 | 23 | 8 | 10 | 70:48 | 77 |
| მურსია | 41 | 21 | 13 | 7 | 61:41 | 76 |
| სიუდად მურსია | 41 | 18 | 9 | 14 | 52:43 | 63 |
| კადისი | 41 | 15 | 15 | 11 | 50:42 | 60 |
| ნუმანსია | 41 | 15 | 13 | 13 | 47:42 | 58 |
| ხერესი | 41 | 16 | 10 | 15 | 45:40 | 58 |
| ალბასეტე | 41 | 15 | 12 | 14 | 48:48 | 57 |
| ტენერიფე | 41 | 17 | 6 | 18 | 44:50 | 57 |
| კასტელიონი | 41 | 15 | 11 | 15 | 48:40 | 56 |
| პოლი ეხიდო | 41 | 15 | 10 | 16 | 50:50 | 55 |
| ელჩე | 41 | 15 | 10 | 16 | 44:46 | 55 |
| სალამანკა | 41 | 14 | 12 | 15 | 52:49 | 54 |
| ერკულესი | 41 | 14 | 12 | 15 | 48:50 | 54 |
| სპორტინგი | 41 | 15 | 8 | 18 | 51:52 | 53 |
| მალაგა | 41 | 13 | 13 | 15 | 48:50 | 52 |
| ალავესი | 41 | 13 | 13 | 15 | 50:58 | 52 |
| ლას პალმასი | 41 | 13 | 12 | 16 | 51:57 | 51 |
| რეალი B | 41 | 13 | 9 | 19 | 52:64 | 48 |
| პონფერადინა | 41 | 10 | 13 | 18 | 43:60 | 43 |
| ლორკა | 41 | 9 | 10 | 22 | 37:59 | 37 |
| ვესინდარიო | 41 | 9 | 7 | 25 | 42:78 | 34 |

## ბრაზილია

### სერია A. V ტური

ნაუტიკო — პარანა 4:4; პალმეირასი — ბოტაფოგო 1:1; ვასკუ და გამა — გრემიო 4:0; ამერიკა — კორინთიანსი 1:2; ატლ. პარანენსე — გოიასი 0:3; ფიგეირენსე — ფლამენგო 4:0; ფლუმინენსე — სპორტ რესიფე 3:0. *კრუზეირო — ჟუვენტუდე, ინტერნასიონალი — სანტოსი და სან პაულუ — ატლ. მინეირო წუხელ გვიან დამთავრდა*

## ჩილე

### აპერტურა. XX ტური

უნივ. დე ჩილე — ევერტონი 2:4; პალესტინო — კობრესალი 1:1; პუერტო მონტი — აუდაქს იტალიანო 0:4; დეპ. კონსეპსიონი — კოკიმბო 2:1; უნივ. კათოლიკა — მელიპილია 4:1; ლა სერენა — ატლეტიკო 6:2; ანტოფაგასტა — უნივ. კონსეპსიონი 3:2; კობრელოა — ლოტა 2:1; უაჩიპატო — კოლო კოლო 2:2; სანტიაგო — უნიონ ესპანიოლა 1:0

## არგენტინა

### კლაუსურა. XVIII ტური

ველესი — ლანუსი 1:1; ნუევა ჩიკაგო — რივერ პლეიტი 2:2; ხიმნასია (ლ) — რასინგი 1:2; ბოკა ხუნიორსი — ბელგრანო 1:0; ბანფილდი — კოლონი 0:1; გოდოი კრუზი — ოლდ ბოისი 1:1; როსარიო — ხიმნასია (ხ) 2:0; ინდეპენდიენტე — კილმესი 4:1; სან ლორენსო — არსენალი 4:2. *ესტუდიანტესი — არგ. ხუნიორსი წუხელ გვიან დამთავრდა*

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XIV ტური

კაშივა — ომია 0:0; გამბა — ფკ იოკოჰამა 2:1; ოიტა — კაშიმა 2:2; ნიიგატა — კობე 3:1; ნაგოია — კავაზაკი 2:2; იაკოჰამა — იჩიჰარა 1:0; კოფუ — იეატა 1:6; შიმიცუ — ტოკიო 1:3

## აშშ

### MLS. X ტური

ჩიკაგო — ჩივასი 0:1; დალასი — ლოს ანჯელესი 3:1; ვაშინგტონი — ნიუ იორკი 4:2. *კოლუმბუსი — ჰიუსტონი წუხელ გვიან დამთავრდა*

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. IX ტური

ლაჰტი — ვაასა 6:0; ჰიკ — იარო 2:2; ვიიკინგიტი — ტურკუ 0:1. *ვაასა — ოულუ დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 8 | 6 | 1 | 1 | 11:6 | 19 |
| ტურკუ | 8 | 5 | 2 | 1 | 15:5 | 17 |
| ჰაკა | 7 | 5 | 1 | 1 | 8:4 | 16 |
| ლაჰტი | 8 | 4 | 1 | 3 | 15:11 | 13 |
| მიუპა | 8 | 3 | 3 | 2 | 9:6 | 12 |
| ჰონკა | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 12 |
| ჰიკ | 9 | 2 | 5 | 2 | 10:11 | 11 |
| იარო | 8 | 2 | 3 | 3 | 11:11 | 9 |
| ოულუ | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | 9 |
| ვიიკინგიტი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| კტპ | 7 | 2 | 1 | 4 | 7:8 | 7 |
| მარიეჰამნი | 7 | 1 | 4 | 2 | 5:6 | 7 |
| ინტერი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:10 | 5 |
| ვაასა | 8 | 0 | 3 | 5 | 4:21 | 3 |

## დანია

### I დივიზიონი. XXVIII ტური

ბრაბრანდი — ჰერფიოლგე 1:3; ფრემადი — ფკ ორჰუსი 2:3; იოლსტიკე — კოლდინგი 3:0; ტისტედი — ფრემი 0:2; ფრედერისია — სიონდერისკე 0:2; კიოგე — ჰელერუპი 2:0; ლიუნგბიუ — აკადემისკი 4:0; ნესტვედი — ორჰუსი 1:2

## ამხანაგური მატჩები

ერაყი 1:1 იორდანია

მალავი 0:3 სენეგალი

## ნორვეგია

### ტიპელიგა. IX ტური

სტრიომსგოდსეტი — ვიკინგი 1:2; რუსენბორგი — ფრედრიკსტადი 1:1; სტაბეკი — ლინი 3:2; ტრომსიო — ალესუნდი 0:2; ვოლერენგა — ოდ გრენლანდი 1:1; ბრანი — ლილესტრიომი 3:1. *სტარტი — სანდეფიორდი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 9 | 6 | 2 | 1 | 20:12 | 20 |
| ლილესტრიომი | 9 | 5 | 2 | 2 | 18:10 | 17 |
| სტაბეკი | 9 | 4 | 4 | 1 | 12:9 | 16 |
| ვიკინგი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:12 | 15 |
| რუსენბორგი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:13 | 14 |
| ტრომსიო | 9 | 4 | 1 | 4 | 16:15 | 13 |
| ფრედრიკსტადი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:16 | 12 |
| სტრიომსგოდსეტი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:15 | 12 |
| ლინი | 9 | 3 | 2 | 4 | 17:18 | 11 |
| სტარტი | 8 | 2 | 4 | 2 | 13:14 | 10 |
| ვოლერენგა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | 9 |
| სანდეფიორდი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | 8 |
| ალესუნდი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:18 | 8 |
| ოდ გრენლანდი | 9 | 1 | 1 | 7 | 7:13 | 4 |

### I დივიზიონი. X ტური

სოგნდალი — ჰამ კამი 3:4; ბრინი — ბოდიო გლიმტი 0:2; ჰაუგესუნდი — ნოტოდენი 2:1; ლოვ ჰამი — სკეიდი 0:0; მიოლდე — ტრიომსდალენი 1:0; მოსი — მანდალი 3:0; რაუფოსი — კონგსვინგერი 2:4; სპარტა — ჰიონეფოსი 3:0

## ისლანდია

### პრემიერდივიზიონი V ტური

ვიკინგური — ბრეიდაბლიკი 1:1; ვალიური — კეფლავიკი 2:2; ჰაფნარფიორდური — ფილკირი 0:0; კოპავოგური — ფრამი 2:1; აკრანესი — რეიკიავიკი 3:1

## იტალია

### სერია B. XLII ტური

ალბინოლეფე — ბოლონია 2:5; ბრეშა — ჩეზენა 4:2; კროტონე — ვიჩენცა 0:1; ჯენოა — ნაპოლი 0:0; იუვენტუსი — სპეცია 2:3; ლეჩე — პესკარა 4:1; მოდენა — ფროზინონე 2:1; პიაჩენცა — ტრიესტინა 1:1; რიმინი — მანტოვა 2:1; ტრევიზო — არეცო 1:3; ვერონა — ბარი 4:2

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 42 | 28 | 10 | 4 | 83:30 | 85 |
| ნაპოლი | 42 | 21 | 16 | 5 | 52:29 | 79 |
| ჯენოა | 42 | 23 | 9 | 10 | 68:44 | 78 |
| პიაჩენცა | 42 | 20 | 8 | 14 | 57:50 | 68 |
| რიმინი | 42 | 17 | 16 | 9 | 55:38 | 67 |
| ბრეშა | 42 | 19 | 10 | 13 | 51:43 | 67 |
| ბოლონია | 42 | 18 | 11 | 13 | 52:43 | 65 |
| მანტოვა | 42 | 15 | 19 | 8 | 47:36 | 64 |
| ლეჩე | 42 | 17 | 7 | 18 | 56:53 | 58 |
| ალბინოლეფე | 42 | 11 | 20 | 11 | 46:48 | 53 |
| ვიჩენცა | 42 | 12 | 14 | 16 | 42:43 | 50 |
| ტრევიზო | 42 | 11 | 17 | 14 | 44:47 | 50 |
| ბარი | 42 | 12 | 14 | 16 | 40:46 | 50 |
| ფროზინონე | 42 | 12 | 14 | 16 | 44:54 | 50 |
| მოდენა | 42 | 12 | 13 | 17 | 38:46 | 49 |
| ჩეზენა | 42 | 12 | 13 | 17 | 51:66 | 49 |
| ტრიესტინა | 42 | 11 | 16 | 15 | 37:48 | 48 |
| *ვერონა* | 42 | 12 | 12 | 18 | 34:46 | 48 |
| *სპეცია* | 42 | 11 | 13 | 18 | 50:61 | 46 |
| არეცო | 42 | 12 | 15 | 15 | 42:46 | 45 |
| კროტონე | 42 | 7 | 11 | 24 | 36:67 | 32 |
| პესკარა | 42 | 5 | 10 | 27 | 36:77 | 24 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

### სერია C პლეი ოფი. ფინალი პირველი მატჩები

ფოჯა 1:0 აველინო

მონცა 1:0 პიზა

## პოლონეთი

### ლიგის თასის ფინალი

გროცლინი 1:0 ბელხატოვი

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XII ტური

**ტომი 2:0 რუბინი**

1:0 კლიმოვი (61), 2:0 კისელიოვი (75)

**ამკარი 3:1 ხიმკი**

0:1 ეფსტაფევი (45), 1:1 კუშევი (48), 2:1 სავინი (74), 3:1 დუიმოვიჩი (90)

**კრილია 2:3 კუბანი**

1:0 ტოპიჩი (48), 2:0 დ. მუჯირი (513), 2:1 ო. ივანოვი (56), 2:2 რ. ბაიანო (74), 2:3 ო. ივანოვი (893)

**ლუჩ-ენერგია 4:0 ცსკა**

1:0 ტიხონოვეცკი (5), 2:0 ა. ივანოვი (15), 3:0, 4:0 გ. ბაზაევი (68, 84)

**სპარტაკი 2:2 ნალჩიკი**

0:1, 0:2 რიკარდო (35, 44), 1:2 ტიტოვი (48), 2:2 პავლიუჩენკო (77)

**დინამო 1:1 სატურნი**

1:0 ხოხლოვი (44), 1:1 ტანასიევიჩი (78ს.კ)

**როსტოვი 1:1 მოსკვა**

0:1 ადამოვი (29), 1:1 კანიენდა (69)

**ზენიტი — ლოკომოტივი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 12 | 5 | 5 | 2 | 18:13 | 20 |
| სპარტაკი | 12 | 5 | 5 | 2 | 14:12 | 20 |
| კრილია | 12 | 5 | 4 | 3 | 14:10 | 19 |
| ზენიტი | 11 | 5 | 4 | 2 | 15:12 | 19 |
| მოსკვა | 11 | 4 | 5 | 2 | 9:7 | 17 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 4 | 2 | 10:8 | 16 |
| კუბანი | 12 | 3 | 7 | 2 | 12:11 | 16 |
| დინამო | 12 | 4 | 4 | 4 | 12:13 | 16 |
| ხიმკი | 12 | 4 | 3 | 5 | 12:11 | 15 |
| ტომი | 12 | 3 | 5 | 4 | 14:14 | 14 |
| ამკარი | 11 | 2 | 6 | 3 | 12:11 | 12 |
| ლუჩ-ენერგია | 12 | 3 | 3 | 6 | 9:13 | 12 |
| ნალჩიკი | 12 | 2 | 6 | 4 | 7:12 | 12 |
| სატურნი | 11 | 1 | 8 | 2 | 10:12 | 11 |
| რუბინი | 12 | 3 | 2 | 7 | 11:15 | 11 |
| როსტოვი | 12 | 1 | 7 | 4 | 10:15 | 10 |

## ბელგია

### გადასასვლელი პლეი ოფი V ტური

კორტრაიკი 2:3 მეხელენი

ლიერსი 2:0 ანტვერპენი

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XXIX ტური

ჩერნომორეცი — შახტარი 0:0; დინამო — კარპატი 3:1; ილიჩევეცი — არსენალი 4:1; კრივბასი — სტალი 1:0; მეტალისტი — ტავრია 1:0; მეტალურგი (დ) — ვორსკლა 0:0; მეტალურგი (ზ) — ხარკოვი 3:1; ზარია — დნიპრო 0:3

*კიევის „დინამო" ჩემპიონი გახდა*

## შვედეთი

### ალსვენსკა. IX ტური

აიკ — იორებრო 1:1. *ბრომაპოიკარნა — მალმიო, ჰალმსტადი — ჰამარბი და ტრელებორგი — გეფლე დღეს გაიმართება, კალმარი — ჰელსინგბორგი და იურგორდენი — გიოტებორგი ხვალ, გაის — ელფსბორგი კი 14 ივნისს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 9 | 4 | 4 | 1 | 13:9 | 16 |
| გიოტებორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 14 |
| ჰალმსტადი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:8 | 14 |
| იურგორდენი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:7 | 13 |
| მალმიო | 8 | 3 | 4 | 1 | 11:6 | 13 |
| კალმარი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 13 |
| გეფლე | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | 12 |
| ჰამარბი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:5 | 11 |
| აიკ | 9 | 3 | 2 | 4 | 8:12 | 11 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 3 | 1 | 4 | 11:10 | 10 |
| გაის | 8 | 2 | 2 | 4 | 5:9 | 8 |
| იორებრო | 9 | 1 | 5 | 3 | 7:13 | 8 |
| ტრელებორგი | 9 | 2 | 2 | 5 | 8:16 | 8 |
| ბრომაპოიკარნა | 8 | 1 | 3 | 4 | 8:15 | 6 |

### სუპერეტა. IX ტური

ნორჩიოპინგი — სუნდსვალი 5:0; დეგერფორსი — ჰეკენი 3:2; ატვიდაბერგი — ენჩიოპინგი 1:0; ლიუნგსკილე — სილვია 1:2; მიალბი — ბანვეფლო 2:2. *იონკოპინგი — იოსტერსი და სირიუსი — ლანდსკრონა დღეს გაიმართება, იორგრიტე — ფალკენბერგი ხვალ*

# დაიანი რუსიონის სავარძელში

**მეორე** დივიზიონში გავარდნილი „ნანტის" პრეზიდენტი რუდი რუსიონი გადადგა და მის ნაცვლად ლუკ დაიანი აირჩიეს, რომელიც ადრე „ლილის" შეფი იყო.

44 წლის განმავლობაში უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე „ნანტი" გასულ სეზონში ჩაქვეითდა, რაც რუსიონს დაბრალდა, ამიტომაც დატოვა პრეზიდენტის სავარძელი.

ქომაგები მის მოშორებას დიდი ხანია, ითხოვდნენ. სწორედ რუდი რუსიონმა მიიყვანა გუნდში ფაბიენ ბარტეზი, რომელმაც ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე ფანებთან იჩხუბა და ამის გამო მიატოვა გუნდი.

# დაინელის რვა ოთხში

**„ფიორენტინას"** მცველმა დარიო დაინელიმ კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. იგი „იებში" 2004 წელს „ბრეშადან" გადავიდა და ხელშეკრულება ამ ზაფხულს ეწურებოდა.

28 წლის დაინელს „იუვენტუსი" და „რომა" ეპატიჟებოდნენ. იგი „ფიორენტინაში" ოთხ სეზონში 8 მილიონ გირვანქას მიიღებს.

# კივუმ რომა დაიფიცა

**კრისტიან კივუმ** უარყო ცნობა „ინტერში", „ბარსელონაში" ან მადრიდის „რეალში" გადასვლის თაობაზე და განაცხადა, რომ „რომასთან" ახალ კონტრაქტზე ვაჭრობს.

„მე „რომას" ფეხბურთელი ვარ და არც ერთ სხვა კლუბთან არ ვაწარმოებ მოლაპარაკებას. ჩემი კონტრაქტი მომავალ ზაფხულს იწურება და ამჟამად მის გახანგრძლივებას ვცდილობ".

# გრძელი გვარი სიენას კარში

**„სიენამ"** ორი ფეხბურთელი იყიდა — ბერძენი მეკარე დიმიტრიოს ელეფთეროპულოსი და ჩეხი ნახევარმცველი ლუკაშ იაროლიმი.

„ასკოლის", „მესინას", „მილანის", „რომას" და „ოლიმპიაკოსის" ყოფილმა გოლკიპერმა სიენელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 31 წლის იაროლიმი კი პრაღის „სპარტადან" შეიძინეს და მანაც ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ჩეხმა ნახევარმცველმა გასულ სეზონში 28 მატჩში ხუთი გოლი გაიტანა.

# ლემანმა ბუნდესლიგა დაიწუნა

**ლონდონის** „არსენალის" 37 წლის მეკარემ იენს ლემანმა განმარტა, თუ რატომ არ გადავიდა ბერლინის „ჰერტაში".

„ბუნდესლიგის კლუბებს თვალი გადავავლე და ერთიც ვერ ვნახე, „არსენალს" თამაშის ხარისხით ან მაღალი კლასის ფეხბურთელები რომ შეედრება" — თქვა ლემანმა.

# როკიმ ჯიბეში ჩაიხედა

**„ლაციოს"** ფორვარდმა ტომაზო როკიმ ჯამაგირის მომატება მოითხოვა.

„მუდამ „ლაციოს ერთგული ვიყავი, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში, ვფიქრობ, რომ ჩემი კლასი სამჯერ ამაღლდა და ახალ, უკეთეს კონტრაქტს ვიმსახურებ, გრძელვადიანს და მეტი ხელფასით. კლუბის შეფებთან და ქომაგებთან კარგი ურთიერთობა მაქვს და აქ დარჩენა მინდა" — თქვა როკიმ.

# კაპიკი არ დააკლდება

**პრემიერლიგიდან** გავარდნილი „ჩარლტონის" შეფმა პიტერ ვერნიმ განაცხადა, რომ ფორვარდი დარენ ბენტი 12 მილიონი გირვანქა ღირს. მისი ყიდვა „ლივერპულსა" და „ვესტ ჰემს" უნდათ.

„ბევრი კლუბია დაინტერესებული ბენტის შეძენით, მაგრამ 12 მილიონს თუ არ გადაიხდიან, ბიჭი ჩვენთან დარჩება" — თქვა ვერნიმ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ევროპის 2007 წლის U-21 ჩემპიონატი. A ჯგუფი. I ტური

**ჰოლანდია 1:0 ისრაელი**

1:0 მადურო (10)

**პორტუგალია 0:0 ბელგია**

## კონკაკაფის ოქროს თასი 2007

### A ჯგუფი. II ტური

კანადა 1:2 გვადალუპე

ჰაიტი 1:1 კოსტა რიკა

### B ჯგუფი. II ტური

გვატემალა 1:0 სალვადორი

ტრინიდადი 0:2 აშშ

### C ჯგუფი. II ტური

ჰონდურასი 2:1 მექსიკა

პანამა — კუბა *გვიან დამთავრდა*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge